წელიწადი მეორე ფასი 5 კაპ. შაბათი, 2 მკათათვე 1916 წ. № 146

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტი ერთ სვეტში ერთ ფურცელზე 15 კ., ოთხკანკელზე—10 კ. **ორ ფურცელზე 20 კ.**

ღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ეროვნულ-დემოკრატიული საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

უპრემიოდ ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

პრემიებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

ხარფუხის საზოგადო კლუბი

(შიხეილის პროსპექტი № 131, საზაფხულო შენობაში)

შაბათს 2 მკათათვეს

სამხიარულო, სალიტერატურო და სასიმღერო

საღამო

ორ განყოფილებად.

მონაწილეობას მიიღებენ: გრიშაშვილი, ზარდალიშვილი, კავსაძე, გოცირიძე და სხვები.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

საღამოზე შესვლა უფასოა.

სტუმრები შედიან საზოგადო წესით. (1-161-1)

კვირას, 3 მკათათვეს, შუადღის 12 საათზე,

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დარბაზში დანიშნულია **ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა**

საგანგებო კრება

საგანი კრებისა: საზოგადოების მდივნის არჩევა.

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.

(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.

ფასები ყველასათვის ხელმისაწდომია

ყოველ დღე მზადდება

საუზმე	ჩაი
სადილები	ყავა
	ხაჭაპური
ვახშმები	პიროჟკები

ადგილობრივი და უცხოური საკმელები, კარაქზე გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით **სილ. ს. გიგიბერია.**

ვაგზალებთ

პიროგით ხელმისაწდომ ფასებში

პრაპორშჩიკთა შეკოლისათვის

მეცადინეობა დაიწყება 20 თიბათვიდან. პირადათ მოლაპარაკება საღამოს 6—7 საათამდე.

მისამართი: მოსკოვის ქუჩა, სახლი 24, ბინა 1. 25—128—19

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა

ექიმი

ა. დ. შაჰაგაზიანცი

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და **იღებს შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

დ. ზესტაფონში

ექიმი

დ. კ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

ექიმი

მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—3)

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და **ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს თიბათვის 15-დან **იღებს მანგლისში** კორპუსის ბანაკში

ქბილის ექიმმა

მამულაიშვილმა

(ხოდნეშვილამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლოლას ქუჩა, № 22.

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. **მისამართი:** კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი **იღებს** ავადმყოფებს **კანისა** და ვენერიიულის **სნეულებით** ყოველ **დღე 3—5** საათამდე, ვარანცოვის ძეგლის **პირდაპირ, რეზიენზდის ქუჩა, № 19.**

იყიდება

სახლეში გორში და სიღნაღში

გორის ერთსართულიანი სახლი შესდგება შვიდი ოთახისაგან: სამზარეულო, თავლა და სარდაფი ქვევრებით, რომლებიც სულ ცემენტით არიან შეტეხილნი, წყლით და ბაღით. სულ ეზოთი 250 ოთხკ. საჟენი მიწით.

სიღნაღის ორსართულიანი სახლი შესდგება თორმეტი ოთახისაგან, სამკუთხივ გალერეა, ელექტრონი, როტონდა, ორი სამზარეულო, ცალკე ოთახი ორი სარდაფით. მიწა ზომით 200 ოთხკ. საჟენი სხვა და სხვა ხეხილებით და დიდი კაკლით. ზაფხულობით ამ ეზოში როტონდით სდგას სიღნაღის ახალი კლუბი.

იკითხეთ: სიღნაღში დაფქვიაშვილთან (ნაფიცი ვექილი), **დეკ. ტურაშვილთან. თბილისში „საქართველოს“ რედაქციაში.**

სავაჭრო სახლი

„ძმ. სესიევები და ამხ.“

(ვაგზლის ქ. № 6)

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ **პირველ ივნისიდან** ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება

ნამდვილი კახური საკუთარი ვენახეგის ღვინო

ვაგზლის სამკურნალოები

(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)

სამკურნალოს ყველა ექიმებმა

კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.

აგრეთვე ექიმი—ქალი **მარ. კონ. იოსელიანისა** მიიღებს **დედათა სნეულებით** ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.

ღვინის საწყობი

ნიკო გ. სესიაშვილისა

იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი

კახური ღვინო

განოვის ქუჩა № 4.

——— სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. ———

(185—წ.)

თბილისი, 2 მკათათვე

ირლანდიის ავტონომია. ინგლისის პრემიერ მინისტრმა ასკვიტმა, როგორც დეპეშით გვამცნობენ, უკვე შეიტანა ინგლისის პარლამენტში პროექტი ირლანდიაში ავტონომიის შემოღების შესახებ. ავტონომია მთელს ირლანდიაში არ ვრცელდება. ულსტერის საგრაფოები, რომელნიც დასახლებულია ინგლისელ მოახალშენებით და რომელნიც ასე სასტიკ წინააღმდეგობას უწევდენ ირლანდიაში ავტონომიის შემოღებას, ირლანდიის ავტონომიის გარეშე რჩებიან და თავის წარმომადგენელებს პირდაპირ ინგლისის პარლამენტში გზავნიან. ჰომრულის პროექტით დუბლინის საკანონმდებლო სასამართლოს წევრებს ინგლისის მთავრობა ჰნიშნავს. იგივე მთავრობა ხელმძღვანელობს ირლანდიის სამხედრო დაცვის საქმეს. ასკვიტმა გადასცა პარლამენტს ლოიდ ჯორჯის აზრი, რომელიც პარლამენტმა ამოარჩია ირლანდიელ პარტიებთან შესათანხმებლად, რომ ამ პროექტის განხორციელება ერთად ერთი გზაა ირლანდიაში მშვიდობიანობის დასამყარებლადო. ლოიდ ჯორჯს ამის შესახებ მოლაპარაკება ჰქონია ირლანდიის ეროვნული პარტიის ბელადთან ჯონ რედმონდთან და ულსტერლების მეთაურთან—ედუარდ კარსონთან. ესევე შეთანხმების წესი განუხილავს შემდეგ ირლანდიის უნიონისტურ ეროვნულ პარტიას. ასკვიტი არწმუნებს პარლამენტს, რომ ეს პროექტი ყველას აკმაყოფილებს და კაბინეტის სახელით სთხოვს პარლამენტს ჰომრულში შეტანილ ცვლილებების დადასტურებას. ვინაიდან ჰომრულის განხორციელება ჩვეულებრივი კანონმდებლობითი გზით ასე საჩქაროდ არ მოხერხდება, მინისტრთა კაბინეტი წინადადებას იძლევა ჰომრულის ცხოვრებაში განხორციელებას დროებით, ომის გათავებამდის, როდესაც, ის განხილული იქნება ჩვეულებრივის წესით.

ამ რიგად ირლანდიის ეროვნული პარტიის სასოწარკვეთილებამ ნაყოფი გამოიღო. დიდი იყო ხიფათი, რომელიც მოელოდათ მათ და მთელს ირლანდიას, როდესაც მათ ასეთს საშინელს დროს, ინგლისის წინააღმდეგ ამბოხების დროშა ამართეს. ინგლისის მთავრობამ დიდი გონიერება გამოიჩინა. რასაკვირველია მკაცრი ზომებით, უხეში ძალით მას შეეძლო დროებით ისეთივე სიწყნარე და მშვიდობიანობა დაემყარებინა ირლანდიაში, როგორიც სუფევს იქ ეხლა, როდესაც შეთანხმება მთავრობასა და მეამბოხეთა შორის. მაგრამ ეს მშვიდობიანი, ხანგრძლივი და საიმედო არ იქმნება. ირლანდია მეთორმეტე საუკუნიდან ებრძვის ინგლისელების ბატონობის მძიმე უღელს, და მრავალ საუკუნეთა განმავლობაში განმტკიცებული ეროვნული მისწრაფებანი მხოლოდ დროებით თუ მოიხრიდა ქედს გაბატონებული ერის ძლიერების წინაშე.

ინგლისის მთავრობა სამართლიანად დარწმუნდა, რომ ამის შემდგომ ირლანდიის ეროვნული თავისულფლების შებორკვა და დახშვა თვით იმპერიისთვის იქმნებოდა საშიში და სახიფათო. ირლანდიამ მოიპოვა ავტონომია და ეს ბრწყინვალე ხხივია იმ შავბნელ დროში, როდესაც ერნი და სახელმწიფონი მხოლოდ ჰკარგავენ თავისუფლებას და ნადგურდებიან.

უცნაური ხალხი

ორ თვეზედ მეტია რაც ჩვენი გაზეთი სწერს ჰიათურის მარგანეცის შესახებ და მოითხოვს ქართველი საზოგადოებისაგან ისარგებლოს გერმანელთა წარმოების ლიკვიდაციით და დაიბრუნოს საუკეთესო მადნები, დაკარგული ჩვენის დაუდევრობით. ორ თვეზედ მეტია ეს ფრიად საგულისხმიერო და სასარგებლო საქმე ობიექტიურად განხილვის საგნად შეიქმნა ჩვენთვის და მოვიწვევდით ყველა შეგნებულს ქართველს გამოხმაურებოდა ამ საკითხს და საერთო ძალით გამოგვესწორებინა საქმე. მაგრამ „არსაით ხმა, არსით ძახილი“. ქვეყანა სდუმდა. დიდი ეროვნული საქმე თითქო არავის აინტერესებდა, ასე რომ გულგატეხით ერთმა ჩვენმა თანამშრომელმა ისეთი აზრიც კი გამოსთქვა, რომ ჩვენში მარტო პარტიული ვიწრო ჯგუფური ინტერესი და კინკლაობა შეაშფოთებს ხოლმე საზოგადოებას და პრესასო. ღვთის მადლით, ეს ასე არ გამოდგა; ჰიათურის საქმით დაინტერესდა საზოგადოება და გულმხურვალედ შეუდგა მოგვარებას, მაგრამ სოციალიზმით დაავადებულმა ჩვენმა პრესამ აქაც გამონახა სადაო, საკინკლაო და ჯგუფური თავმოყვარეობის შეურაცხმყოფელი საგანი. „სახალხო ფურცელმა“ საჭიროდ დაინახა გამოჰქომაგებოდა მარგანეცის საბჭოს, რომელსაც არავინ არაფერს აბრალებდა და რომელსაც მხოლოდ იწვევდნენ სხვებთან ერთად სამოქმედოთ. საბჭოს ხელმძღვანელთ უმოქმედობას აბრალებენ, ისინი კი დაუღალავად მოქმედობენო, სკოლებს აწყობენ, სამკითხველოს და სხ. ამგვარივე—ხოტბა შეასხეს, რადგან ისინი თავისიანებად მიაჩნიათ. კეთილი და პატიოსანი—ანგელოზები არიან, მაგრამ განა ეს იყო სადაო საგანი, მოსაფიქრებელი, ეს იყო საქმე გასაკეთებელი? რამდენიმე პირის არც გალანძღვისათვის, არც შემკობისათვის საქმე არ დაწყებულა და რა საჭირო იყო ასეთ ნიადაგზედ საკითხის გადატანა, რას არგებს ეს ჩვენ საერთო საქმეს? ერთ წუთს ვიფიქროთ, რომ, ნიკოლაძე წყალში გადასაგდებია და ზდანოვიჩიც თან მისაყოლებელი-ეს არის მოწინააღმდეგე „ბუმბერაზი“, მაგრამ რა შუაშია საქმე, რად ვლალატობთ ძალა გამოკლებულ ბებრებსავით: „ჩვენ არაფერი საწინააღმდეგო არა გვაქვს, გერმანელთა მადნები ქართველთა ხელში გადავიდესო“. განა მომქმედ ჯგუფი, უნარის და სიცოცხლის მექონი ასეთ უნიათო სიტყვას წამოისვრის? მაგრამ რას აკეთებთ დადებითს, რად და როგორ იბრძვით, რომ საკინკლაო საგანი განდევნოთ და საქმის სიყვარულით აღიჭურვნეთ? ბატონებო, გონს მოდით, გვეყო ამდენი უნიადაგო და უაზრო შესლა-შემოხლა, საქმეს, საქმეს მიხედეთ, თორემ შეუძლებელი გახდება სუნთქვა, როდესაც ორიოდე კაცი ჩაიკეტება რედაქციაში, გაბოროტება, და მთელ საზოგადოებას იძულებულ ჰყოფს, თავზედ ახვევს უმგვან და უილაჯო რჩევასა და პასივობას. კარგით, ბ-ბო, აკმარეთ ქართველ საზოგადოებას ეგეთი გულნამცეცობა და ერთი საკითხის გარშემო მაინც ნუ ასტეხეთ უნაყოფო განგაშს, მით უფრო ასეთი საქმიანი საკითხის გარშემო—პირ-იქით, გადასცალეთ როგორმე თქვენი პასიური ბუნება და ერთხელ მაინც, ერთ საქმეზედ დააყენეთ თქვენი ენა და ყურადღება. მხარში ამოდგომის მაგიერ, თქვენ ხელს უშლით თქვენი უცნაურის ქცევით საერთო საქმის გაკეთებას და გულში კი მუდამ ხელს იცემთ—ჩვენ ეროვნულ ინტერესებს ვემსახურებითო. განა ეროვნული ინტერესი მარტო იმ საქმეებშია, რომელზედაც ხმას **პირველად** თქვენ ამოიღებთ და სხვა კი ეშმაკეულია. ბ-ბო, გააკეთეთ, გააკეთეთ რამე და პირველობაც თქვენთვის დაგვითმია.

რ. გ.

ჭიათურის წარმოებათა ლიკვიდაციის წესი

1916 წ. 15 მარტს, მინისტრთა საბჭოს დასტურით, ჰიათურაში არსებულ გერმანელთა შავიქვის მრეწველობის სალიკვიდაციოდ შესდგა საგანგებო სამმართველო. ამ სამმართველოს თავმჯდომარედ ითვლება კავკასიის მეფის ნაცვლის საბჭოს წევრი ი. ნ. პროტასოვი, მეფის ნაცვლის საგანგებო მინდობილებათა მოხელე სტატს. სოვ. ბ. დ. კოვალენსკი, კავკასიის სამთო სამმართველოს გამგე ა. ე. სობაჩიევსკი, ქუთაისის საოლქო სასამართლოს წევრი თ-დი ს. გ. მიქელაძე, ქუთ. მიწადმოქმედების და სახაზინო მამულების ქუთაისის სამმართველოს უფროსი ი. კ. მულინი, თბ. საკანტროლო პალატის რევიზორი ი. ა. გრიგორიანცი. ამ საგანგებო სამმართველოს აქვს მინდობილი ზემოხსენებულ მამულების აღწერვა, დაფასება, განცხადება გაყიდვის შესახებ, მამულის შეძენის მსურველთა აღნუსხვა და აგრეთვე მოყვანა სისრულეში მინისტრთა საბჭოს დადგენილება შესახებ ამ წარმოებათა გაყიდვისა, რომელიც მოხდება მას შემდეგ რაც მინისტრთა საბჭო განიხილავს სალიკვიდაციო მმართველობის მიერ შეკრებილ ცნობებს და მის იმპერატორობითი უმაღლესობის მეფის ნაცვლის ამ საგნის შესახებ დასკვნას.

1916 წ. 7 ივნისის სხდომაზედ სალიკვიდაციო კომისიამ დაიწყო თავისი მოქმედება და მიიღო თავის მმართველობაში ორივე წარმოებები. მთელი წარმოებები მმართველობის ხელში გადასვლა მოხდება მას შემდეგ რაც ის გაეცნობა მთელს ქონებას ამ ფირმებისას და ამის აღწერილობას მოახდენს, რის შესახებ მოხდება მეორე პუბლიკაცია და ამის შემდგომ სამი კვირის განმავლობაში შესდგება უკანასკნელი აღწერა მთელი ქონებისა. ამის შემდეგ გამოცხადებული იქმნება ამ წარმოებათა გაყიდვის შესახებ და ყველა ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველებმა წერილობით უნდა აცნობონ სალიკვიდაციო მმართველობას განცხადების შემდეგ ორი კვირის განმავლობაში.

დაწესებულებათ და კერძო პირთ, ვინც ამ ლიკვიდაციის საკითხით დაინტერესებულია, უნდა მიმართონ განსაკუთრებულ მმართველობას.

ფოსტის ადრესი: მეფის ნაცვლის კანცელარია. განსაკუთრებული მმართველობის თავმჯდომარე **პროტასიევი.** წევრი მმართველობისა **ბ. კოვალენსკი.**

არ შევცდეთ

მსოფლიო ისტორიის დაკვირვება გვარწმუნებს, რომ ხშირად ერის ცხოვრებაში დგება ისეთი ხანა, როცა არ ესმის თავისი როლი, არა აქვს გამორკვეული ისტორიული მომენტის მნიშვნელობა და ამიტომ მისი მოქმედება ხშირად უნაყოფოთ მიდის და მიზანს ვერ აღწევს.

სხვა ერთა ისტორიაშიც ყოფილა ასეთი შემთხვევები და ჩვენი ისტორიაც იძლევა ამის მაგალითებს. წინაპართა შეცდომა. მეცნიერმა სთქვა: **„აწმყოს ახსნა მომავალს ეკუთვნისო“** (ключъ настоящаго принадлежитъ будущему): მართლაც, ყოველივე იმას, რაც დღეს ხდება, მომავალი ახსნის, დააფასებს და მსჯავრსაც დასდებს; ჩვენ ვიცით ჩვენი წინაპრების შეცდომა და ვკიცხავთ მათ, მაგრამ ჩვენ შეცდომას კი ვერ ვამჩნევთ და ვერც ვატყობთ მომავალი რა მსჯავრს დაგვდებს.

ისტორიის მნიშვნელობა, სხვათა შორის, ისაა, რომ წარსულის შეცდომა დაგვანახოს და აწმყოსი თავიდან აგვაშოროს, რომ, ამრიგათ, უკეთესი მომავალი შეიქმნას. თუ გვესმის ჩვენი როლი და ცხოვრებაში ჩვენს მოვალეობას ვასრულებთ, უნდა ვეცადოთ საზოგადო მომენტის აწონდაწონაში და მის ასე თუ ისე მოგვარებაში არ შევცდეთ თუ საღი გონებით ვხელმძღვანელობთ, უნდა გვესმოდეს დღევანდელი მომენტი რას გვიკარნახებს და სწორი ცხოვრების საჭე საით არის მიმართული. ამ თვალსაზრისით თუ შევხედეთ ყოველივე მას, რაც ცხოვრების სინამდვილემ თვალ წინ გადაგვიშალა, მაშინ არ შევცდებით და ჩვენი მოქმედება ნამდვილ მიზანთან შესაბამებულიც იქნება.

სწორეთ ამ თვალსაზრისით შევხედოთ დღევანდელ მორიგ საკითხს—**ჰიათურის მამულების შეძენას.** ეს მამულები ჩვენი იყო, გერმანელების ხელში გადავიდა, ხოლო დღეს ისევ იყიდება.

დიდი შეცდომა მოუვიდა ჩვენ მამა პაპათ, რომ მირსკის მამული (ამ ჟამათ ანანოვის) ხელიდან გაუშვეს; დიდი შეცდომა მოუვიდათ, რომ ქუთაისი რკინის გზის მთავარი ლიანდაგის გარეშე დასტოვეს. ასეთი შეცდომა ბევრია და მათი გასწორება დღეს შეუძლებელია, მომავალში კი გასწორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება, მაგრამ დარწმუნებული ვარ ცოტა მეცადინეობასა და ენერგიას არ მოითხოვს.

დიდი შეცდომაა ისიც, რომ ჭიათურის მადნები უცხოელთა ხელში გადავიდა. რისი შედეგია ეს და ვისი ბრალია—ეს სულ სხვა საკითხია! რა თქმა უნდა, ყველაფერი, რაც მოხდება, ერთგვარი პირობების შედეგი იქნება აქაც მეპატრონეთა შეუგნებლობა იყო მიზეზი, ნივთიერი განსაცდელი, ინტელიგენციის უხეირობა, სხვა რამე, ან ყველაფერი ერთად—ეს დღეს სულ ერთია, რადგან დღეს არც გასამართლება და არც წარსული ისტორიული მომენტის გამოკვლევა ჩემი საუბრის საგანი არ არის. მე დღეს საერთო ყურადღებას ვაქცევ იმ შემთხვევას, რომ მსოფლიო ომმა ბევრი რამ შესცვალა, ბევრი შესწორება შეიტანა წარსულის მოქმედებაში, აქაც და სხვაგანაც—სხვათა შორის გამოარკვია, რომ უცხოელ ფირმას აქ ადგილი არ ჰქონია, საჭირო ყოფილა ადგილობრივი ძალა აღორძინდეს და თვითმოქმედება გაფართოვდეს აი დღეს მოულოდნელათ შესაძლებელი შეიქნა, რომ ჩვენი ხელიდან წასული ძვირფასი მამულები ისევ დავიბრუნოთ.

წარსულის გასწორება ძნელია, მაგრამ შეუძლებელი კი არ არის. აი, სწორედ დღეს გაჩნდა ეს შესაძლებელი გარემოება და უსათუოდ უნდა ვისარგებლოთ: უნდა ავასრულოთ ჩვენი მოქალაქობრივი მოვალეობა, უნდა მოვიხადოთ ეს ვალი ისტორიის წინაშე და ამით შევქმნათ საუკეთესო მომავალი; წინააღმდეგ შემთხვევაში ჩავიდენთ დიდ დანაშაულს, დანაშაულს, რომელიც წინანდელს გადააჭარბებს და აი რატომ—უწინ ამ საქმის გარემოება ბევრს არ ესმოდა, დღეს კი გვესმის, უწინ გამორკვეული არ იყო ღიროვნება ამ სიმდიდრისა, დღეს კი სავსებით გამორკვეულია, უწინ ნელ-ნელა და შეუმჩნევლად, თანდათან გადავიდა ეს ქონება უცხოელთა ხელში, დღეს კი სწრაფად და ნამცხადევათ ჩაუვარდება ხელში სხვას. დიახ, დღეს ჩვენი სიჩუმე, უკან დაწევა და სახელდახელო გარემოების გვერდის ავლა სწორედ მომაკვდინებელი ცოდვა იქნება და მომავალი თაობა დაგმობს ჩვენს მოქმედებას; ისტორია აღნიშნავს ჩვენს დაუდევრობას.

ვერ ავიტანთ ამას, ვერ მოვიხოცთ ამ ჩირქს. ვეღარ გაასწორებენ ჩვენ შეცდომას...

ეს მამულები უნდა შევიძინოთ ერთი მიტომ, რომ ეს ჩვენი ქონება მძიმე პირობების ზეგავლენითაა დაკარგული, მეორე—ეს წყაროა დიდი სიმდიდრის და ადგილობრივი წარმოების ერთი ქვაკუთხედი დღესაც და მომავალშიც შავი ქვაა, იგი უსაჭიროესი პირობაა ჩვენი ეკონომიური აღორძინებისთვის; მესამე—თუ ეს ქონება სხვის ხელში ჩავარდა, ჩვენ დაგვიდგება უარესი ხანა, ვინემ დღეს არის.

უცხოელმა პატრონმა წაიღო ეს მამული და მეპატრონე შავ მუშათ გადააქცია, ესე იგი ნივთიერათ დაგვიმორჩილა, ახალი პატრონი ამ სიმწარეს მეორეს დაუმატებ—უფლებრივ შეგზღუდავს და ნივთიერ ძალას პოლიტიკურ იარაღათ იხმარს. მდგომარეობა აუტანელი იქნება და სწორედ ცუდი მომავალი გაიჭედება.

ეს მამული რომ სომხებმა წაიღონ, ჩვენი ურთიერთი დამოკიდებულება კიდევ უფრო გამწვავდება და ისეთი ატმოსფერა შეიქნება, რომელშიაც დაუსრულებელი ტრაგედიაა მოსალოდნელი.

დაირღვევა ერთგვარი ნორმალური მიმდინარეობა, აღმოცენდება შფოთი და მტრობა, შეიქნება სახიფათო ვნებათა ღელვა, რასაც სამწუხარო გამანადგურებელი შედეგი მოყვება; ეკონომიური ბრძოლა ეროვნულ ელფერში გაეხვევა, რაც კატასტროფით დასრულდება.

ამაში შორს გამჭვრეტი და სოციალური წესიერების მომხრე სომეხიც კი სრულიად დამეთანხმება.

ეჭვს გარეშეა, რომ ჭიათურის მამულების შეძენას ჩვენ უნდა ვეცადოთ; ამ საკითხზე ორი პასუხი შეუძლებელია და ერთი ისაა, რასაც მოგახსენებთ.

როგორ შევიძინოთ?

შევიძინოთ ქართული **ამხანაგობის დაარსების საშუალებით**. ამ ამხანაგობაში უნდა შევიდეს ყველა, ვისაც შეუძლია, განურჩევლად წოდებისა, პროფესიისა, სქესისა და პოლიტიკური რწმენისა, რადგან ამ ამხანაგობის იდეა მეტად ფართოა და ყოველი მოქალაქისთვის ზნეობრივად სავალდებულო. თავად-აზნაურობამ გაითვალისწინოს, რომ $^3/_4$ ამ მამულების მისი ყოფილი საკუთრებაა და დღეს მამულის შესყიდვაში უპირატესობაც მისია. ამის დასაბუთება ადვილია და ამხანაგობის ძლიერება, შანსი ვიჭართა წრემ კარგად წარმოიდგინოს, რომ გარდა ეროვნული იდეისა, რომელსაც ის ემსახურება, საუკეთესო საწარმოო ასპარეზი კაპიტალისთვის ეს მამულებია და მათზე გაჩაღებული მრეწველობა, ამიტომაც კაპიტალი უზრუნველყოფილია. ყოველმა მოქალაქემ, თუნდ წვრილმა მესაკუთრემ შეიგნოს, რომ მისგან შეტანილი ფული საამხანაგო თანხაში აკეთებს საერთო საქმეს, რომელიც დაუშრეტელ ნივთიერ წყაროთ გარდაექცევა მთელ ერს. ამ საქმეში მონაწილეობის მიღება და ფულის გამოღება, გარდა კერძო სარგებლობისა, იქნება საერთო საქმის გამაგრება. ეს დებულება ამხანაგობის წევრთათვის მცნება უნდა იყოს. ეს ამხანაგობა იქნება მაჩვენებელი როგორც ჩვენი ნივთიერი აღორძინებისა, ისე ზნეობრივი და მოქალაქობრივი გამაგრებისა.

მე მოვალე ვარ ამ ამხანაგობაში სიამოვნებით წევრად შევიდე, დღესვე მზად ვარ შესაფერი მოვალეობა მივიღო და ვემსახურო მას, რითაც კი შემიძლია.

იმედი მაქვს, სხვაც თავის სურვილს გვაცნობებს. საქმის მოწყობა საჭიროა. („სამშ.").

ტრიფონ ჯაფარიძე.

დიდუბის გაქურდვის გამო.

29 თიბათვეს საგანგებოდ ვინახულეთ დიდუბის ეკლესიის დეკანოზი მამა იოსებ მირიანაშვილი. სამძიმარი განუცხადეთ მისდამი რწმუნებულ და ქართველ საზოგადოებისათვის ფრიად ძვირფას ეკლესიის გაქურდვის გამო. ამასთანავე ვთხოვეთ დაწვრილებით გადმოეცა გაქურდვის გარემოებანი.

საქმე ასე ყოფილა: ორშაბათს, 28 თიბათვეს ეკლესიაში ჩვეულებრივ დიდძალი მლოცველი ყოფილა. საღამოთი, როცა ეკლესიიდან გამოსულა კრებული, მოსამსახურისთვის უთქვამს ეკლესია დაიკეტნა. იმასაც ეკლესია დაუკეტია ასე ღამის 11 საათზე და გასაღებები დეკ. ი. მირიანაშვილისთვის გადაუციათ (როგორც ყოველთვის).

იმ ღამეს დეკ. ი. მირიანაშვილს სტუმრად ჰყოლია ნათესავი. მასლაათი ღამის 1 საათამდე გაგრძელებულა, შემდეგ დეკანოზს ჩვეულებისამებრ, ეკლესიისათვის შემოუვლია სტუმრიანათ, ხმა მაღალის ლაპარაკით. თითქოს სინათლეც შეუმჩნევიათ ეკლესიის გუმბათში, მაგრამ ელექტრონის შუქისათვის მიუწერიათ და გუმანს არ მოსულან.

მეორე დღეს თურმე დეკ. ი. მირიანაშვილი ოჯახობით ქალაქ გარედ მიემგზავრებოდა და ბარგის ფაციფუცში წინა საღამოთივე ვერ ჩაუბარებია ყოველისფერი თავის მოადგილე დეკანოზ გურგენიძისათვის. ამის გამო დილით ადრე უნებებია ადგომა. ეკლესია გაუღებინებია და დეკ. გურგენიძეც დაუბარებია. მოსამსახურე გაფითრებული მივარდა, „ეკლესია გაუტეხიათო"—გადმოგვცა დეკანოზმა ი. მირიანაშვილმა. დეკანოზი მაშინვე ეკლესიისაკენ გაეშურა, თურმე და ასეთი სურათი წარმოუდგა: ეკლესიაში პირველი სასანთლის მარცხნივ აქა-იქ მიფანტულ-ოქროს ნივთები ეყარა. ღვთისმშობლის ხატის შუშაბანდიანი კარი სატეხის შემწეობით 45 გოჯით გამოწეული იყო. სატეხს ხელცახოცი ჰქონდა დახვეული. ხატის გულზე რამდენიმე ასხულად ჩამოკიდებულ ძვირფასეულობის ერთი ბღუჯა ჩამოგლეჯილ-ჩამოწყვეტილი იყო... ეკლესიიდან სამრეკლოსაკენ მიმავალი კარი გაღებული... „ამ სურათის მნახველმა შიშით მუხლებში ჩავიკეცეო" გაგვიზიარა დეკ. ი. მირიანაშვილმა.

მაშინვე უცნობებიათ მაძებარ პოლიციისათვის. მოსულა პოლიცია, პოლიცმეისტერი, პროკურორი და სხ, პროკურორმა, მაშინვე სამადლობელი პარაკლისი გადაახდევინა, რომ ღვთის მშობლის მადლმა ეკლესია მთლად გაძარცვისაგან იხსნა.

მაძებარმა პოლიციამ ორი გაწრთვნილი ძაღლი მოიყვანა, ეს ძაღლები ეკლესიიდან პირდაპირ დეკ. ი. მირიანაშვილის სახლისაკენ გაექანენ და გალავანთან გაჩერდნენ. მერე გალავანზე გადაახტუნეს. ახლო-მახლო მიირბინ-მოირბინეს, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინეს.

ამასობაში ამბავი მოვიდა, ნივთები იპოვნესო. ერთი პატარა რუსის გოგოს (გვარი არ დაუსახელებია ჩვენთვის დეკანოზს) 9—11 წლისას, თურმე ხელცახოცში გამოხვეული დაკარგული ნივთები უპოვნია ეკლესიის გალავანში საფლავის ქვაზე. ეს პატარა ქალი ხშირად დაიარებოდა თურმე ეკლესიის მსახურთან. ნაპოვნი ნივთები სახლში მიურბეინებია დედისათვის. დედას დაუტუქსავს, საიდანაც მოიტანე, იქვე წაიღეო. იმასაც მიუტანია.

ეს არის მთელი გარემოებანი დიდუბის ეკლესიის გაქურდვისა, დეკ. ი. მირიანაშვილის გიდმოცემით.

საქმეს, უეჭველია, გამომძიებელი დაწვრილებით გამოიკვლევს და ამ ძნელ საქმეს მალე ნათელი მოეფინება,

ჩვენ მხოლოდ ყურადღების ღირსად მიგვაჩნია შემდეგი გარემოებანი:

1) როგორც დეკ. ი. მ.რიანაშვილმა გადმოგვცა ეკლესიიდან სამრეკლოსკენ მიმავალი კარი შიგნიდან დაკეტილი არა ყოფილა. ეს კარი თურმე მუდამ იკეტებოდა, ხოლო იმ ღამეს „დარჩენიათ დაუკეტავი".

2) სამრეკლოს ზემოთა კარი მუდამ ღია ყოფილა.

3) ეკლესიას ორი ყარაული ჰყოლია „თოფებით შეიარაღებული" რომლებიც მორიგეობით დარაჯობენ თურმე.

4) ეკლესიის მომვლელ—მოსამსახურეებათ ერთი მთელი ოჯახია: ერთი ყარაულად, ერთი ეკლესიის მსახურად და ერთიც სანთელის გამყიდველად და სხვ.

5) ეკლესიის კრებულს ვგონებ, არ გააჩნია სრული და დაწვრილებითი სია შემოწირულ ნივთებისა, წესიერად აღნუსხული და დანომრილი. ამ დასკვნამდე ინ გარემოებამ მიმიყვანა, რომ პატივცემულმა დეკანოზმა ი. მირიანიშვილმა ნიშანდობლივ ვერ ჩამოგვითვალა, თუ სულ რა და რა ნივთებია წაღებული, მხოლოდ ოქროს საათსა, ჯვარს და სხვა „წვრილმან ნივთებს" ასახელებდა—ასე რვა-ათი თუმნისას. ვფიქრობ, რომ თვითონ პატივცემულმა დეკანოზმა მამა ი. მირიანიშვილმაც არ უნდა იცოდეს დანაკარგის რაოდენობა და ღირებულება.

რადგანაც დიდუბის ეკლესიის გარშემო ისეც ბევრი მითქმა-მოთქმაა და ახლაც ათასი რამ ცრუ აზრი შეიძლება გავრცელდეს, ჩვენის აზრით თვითონ კრებულის ინტერესისათვის საჭიროა შესდგეს საზოგადოების ნდობით აღჭურვილი რამ კომისია, რომელიც დაწვრილებით გაეცნობა დიდუბის ეკლესიის მთელ საქმეს, შემოსავალ-გასავლისას და სხ.

ასეთი კომისია ერთხელ დ სამუდამოდ დასწმენდს იმ ამღვრეულ წყალს, რომელშიაც თევზის ჭერას აღარ ერიდებიან.

ჩვენის აზრით, დიდუბის ეკლესიაში ყველაფერი თავის წეს-რიგზე არ არის. ამას დროზე უნდა მოეაროს.

ნ. კურდღელაშვილი.

ომის ამბები

გრძოლის ველზე

მიუხედავად საერთო იერიშებისა მოკავშირეების მხრივ, გერმანეთი მაინც არ ანებებს თავს ვერდენს და კვლავ ადრინდელის სიმკაცრით აწარმოებს ამ ოპერაციას. გუშინდელი ოფიციალი დეპეშა გადმოგვცემს, რომ სულ მცირე მანძილზე 6 პოლკს ერთად მიუტანია იერიში და რამდენიმე ადგილიც ჩაუგდია ხელში. ეს მეტად საგულისხმო ცნობაა. სჩანს გერმანეთს არა თუ შეუმცირებია ვერდენთან მომქმედი ჯარი, პირიქით ეტყობა კიდევ მიუშველებია, რადგან ასეთი ძალებით იერიშს მიტანას ვერ გაჰბედავდა. მასთანვე თითქმის ყოველ მხრივ განუწყვეტლად არტილერიას უშენს და ამ დიდებულ საფრანგეთის ბურჯს ცეცხლის ალში ახვევს. ადვილი ასახსნელია ასეთი გამწარებული მოქმედება გერმანელების მხრივ, უკანასკნელმა შეტევამ მოკავშირეებისამ, უფრო კი რუსეთისამ, ნათლად დაანახვა გერმანეთს, რომ მოპირდაპირენი არა თუ უძლურდებიან, პირიქით, მეტს ღონეს იკრეფენ, ყოველგვარ ნაკლს ივსებენ და უფრო მეტის ენერგიით ემზადებიან გადამწყვეტ ბრძოლისათვის.

მართალია საერთო შეტევა, როგორც აღმოსავლეთის ბრძოლის ასპარეზზე, ისევე დასავლეთის, თითქოს კიდევაც დაცხრა, მაგრამ შეტევამ მაინც ნაყოფი გამოიღო; ამ შეტევამ დაარწმუნა ყველა, რომ მოკავშირეებს შეუძლიანთ ერთად მოქმედება, ერთის გეგმით წარმოება მთელის ოპერაციისა.

გალიციაში, მდ. სტრიპაზედ, საშინელი ბრძოლა გაჩაღებულა. როგორც ვიცით აქ რუსეთის ჯარის მარცხენა ფრთა საგრძნობლად შეინძრა და თითქმის სტანისლავს მიადგა. ავსტრიელებს, სჩანს, მაშველი ჯარი მოსვლიათ და ახლა თვითონ წამოსულან იერიშებით მდ. სტრიპაზე. ამით ავსტრიელები ცდილობენ შეაჩერონ რუსების წინ სვლა. თუ რას გახდებიან არა ერთხელ დამარცხებული ავსტრიელები ამას სულ მალე გავიგებთ.

კავკასიის ბრძოლის ველზე რუსები მამახათუნის მიმართულებით წინ სვლას განაგრძობენ.

X.

ომის დეკეშები

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი, 30 თიბათვე. ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი. დვინას ზემოთ და ფრიდრიხ-შტატის ქვემოთ მტერს რამდენჯერმე მოხერხებულად თავს დავესხით. სტოხოდზე საარტილერიო ბრძოლაა. ჩვენ ბრძოლის ხაზის უკან მტრის მფრინავები თავს გვესხმოდა და ყუმბარებს და ტყვიის მფრქვეველებიდან გვესროდნენ. გალიციაში ქვემო სტრიპის დასავლეთით ზოგან სასტიკი ბრძოლაა. მტერს კონტრიერიშები მოაქვს. აქ დავატყვევეთ 2,000 ჯარის კაცი, წამოვიღეთ 1 ზარბაზანი და ტყვიის მფრქვეველები.

შბვი ზღვა. 28 თიბათვეს ზღვის დასავლეთით მხარეზე ჩვენმა ნაღმოსნებმა ოსმალთა გემი „იტიხადი", ნავთით და ქერით დატვირთული, დავატყვევეთ და ჩვენ ნავთსადგურში მოვიყვანეთ. სხვა ნაღმოსნებმა 29 თიბათვეს მდ. მელონის სათავეში (ქ. ერეგლის დასავლეთით) 1 დატვირთული და 2 გამობმული გემი ჩასძირეს.

კავკასიის ასპარეზი. აზრუმის დასავლეთით წინ ვიწევთ. ზოგ ადგილებში ოსმალებს კონტრ-იერიშები მოაქვთ, მაგრამ უშედეგოდ.

პეტროგრადი, 30 თიბათვე. ოფიციალი. ხელჩართულ ბრძოლის შემდეგ ბაიბურთის აღმოსავლეთით ოსმალებს სიმაღლეები დავატოვებინეთ და უკან იხევენ. მამახათუნის დასავლეთით ჩვენი ჯარი წინ იწევს. ღამე ძლიერი ბრძოლის შემდეგ, ჩვენ რამდენიმე სიმაღლე ხელთ ვიგდეთ. მამახათუნის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრით ოსმალებმა წინააღმდეგობის გაწევა მოინდომეს, მაგრამ უკუ ვაგდეთ. ჩვენმა ჯარმა დაიპყრო სოფლები: ჯებახეი და ალმადი.

პარიზი, 29 თიბათვე. ოფიციალი. სომის ხაზზე ღირსშესანიშნავი არა მომხდარა რა. მაასის მარცხენა ნაპირზე საარტილერიო ბრძოლაა. მარჯვენა ნაპირზე სუვილის სიმაგრეებზე გერმანელებმა იერიშები მოიტანეს. დილის 10 საათზე, საარტილერიო ბრძოლის შემდეგ მათ ფლერის, ვოსა და შაპიტრის ხაზით ენერგიული იერიშები განაახლეს. ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა გერმანელთა 6 პოლკი. მიუხედავათ დიდი ზარალისა მათ ხელთ იგდეს მხოლოდ ნაწილი ჩვენი სიმაგრეების სოფ. შაპელსენტ-ფინის მიდამოებში. სუვილ-ბენუა-ლალოფეს ხაზზე საარტილერიო ბრძოლაა. ლოტარინგიაში ჩვენ გერმანელების იერიში მოვიგერიეთ.

პარიზი, 30 თიბათვე. ოფიციალი. მდინარე სომის ნაპირებზე დრო-გამოშვებით საარტილერიო ბრძოლაა. შამპანში ფრანგები გერმანელთა ერთ ბორცვს გარს შემოეხვივნენ და ტყვეები წამოიყვანეს. არგონებში გერმანელების შეტევამ უნაყოფოდ ჩაიარა. ფილმორტში ფრანგებმა ნაღმი ააფეთქეს. სუვილ-შენუასა და ლალოფეს მიდამოებში საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. ვოგეზებში ფრანგებმა ხელით სასროლ ყუმბარების შემწეობით გერმანელების იერიში მოიგერიეს.

ლონდონი, 30 თიბათვე. ოფიციალი. ადრიატიის ზღვის ინგლისელი ადმირალი იტყობინება, რომ 26 თიბათვეს ავსტრიის კრეისერი „ნავარრა" თავს დაეცა რამდენიმე ტრალერს. ორი მათგანი, სახელდობრ „ასტრუმ სპეი" და „კლანეს"-ი ჩასძირა. ორი ტრალერი კი ძალიან დაზიანა. „ასტრუმ-სპეი"-ს მთელი ეკიპაჟი მტერს ტყვედ ჩაუვარდა. ბრძოლ-

თეიმურაზ ბატონიშვილი

(გაგრძელება. იხ. „საქართველო" № 145)

თეიმურაზის სახლი 1811 წლიდგან ნელ-ნელა გარდაიქმნა მწერალ-მწიგნობრობის ტრფიალთა სადგურათ. თვით თეიმურაზი და იონა ბერი თავის შეძლებით დიდათ ხელს უწყობდნენ წოდების განურჩევლათ ყველა ახალგაზდა ქართველს, რომელიც კი პეტერბურს მიაღწევდა სასწავლათ: პლატონ იოსელიანმა, სოლომონ დოდაშვილმა, დავით ჩუბინაშვილმა, სოლომონ რაზმაძემ, იოანე ბაძლიძემ, სიმონ ტაბიძემ აქ, თეიურაზის სახლში იგემეს შარბათი მეცნიერებისა და სამშობლო ერის სიყვარულისა. აქ მეფის ძის კარზედ იგინი ჰპოვებდნენ ნუგეშსა და მშობლიურ-სამზრუნველობასა გაჭირვებაში. გრიბოედოვის მოკვლის შემდეგ სპარსეთში დანიშნული რუსეთის ელჩი აში რომ მიიცვალა, მის მოადგილეთ დანიშნეს თეიმურაზის ქვისლი გენერალ მაიორი, გრაფი სიმონიჩი; თეიმურაზის თხოვნით სიმონიჩმა თან წაიყვანა სოლომონ რაზმაძე და თარჯიმანის ადგილზედ გაიმწესა. სოლომონმა ზედ მიწევნით იცოდა ენები: სპარსული, თურქული, სომხური, რუსული, ლეკური და ქართული. ასე შველოდდ ყველას თეიმურაზი და ცხოვრების გზაზედ აყენებდა. თვით კი დღე-ღამეს წერა-კითხვაში აღამებდა და ათენებდა, და 1830 წ. რუსეთში და ევროპაში ყველა იცნობდა. როგორც აღმოსავლეთის ისტორიის საუკეთესო მეცნიერს. თეიმურაზის საქმე იყო, რომ სახელოვანმა ფრანგმა მარი ბროსსემ საქართველოს ისტორია და მწერლობა გაიხადა თავის სამეცნიერო კვლევა-ძიების საგნათ. მისი დიდი ბიბლიოთეკა 282 წიგნს შეიცავდა 1835 წ. და თანდათან ხომ კიდევ ემატებოდა. მუდამ ესხდნენ ორი-სამი გადამწერი იშვიათ ხელნაწერებისა და უგზავნიდა სამშობლოში ვისაც რა წიგნი აკლდა, მაგ. დადიანს დავითს, გიორგი ერისთავს და სხ. 1836 წ. თეიმურაზმა მოიარა ევროპა, მისი მეოხებით დაარსდა პარიჟში „ძველი აღმოსავლეთის საზოგადოება"; პრუსიის კოროლმა დაასაჩუქრა წითელი არწივის 2 ხარისხის ორდენით.

1829 წ. ბროსსემ ლითოგრაფიით აღბეჭდა პარიჟში ძველი ისტორიული ქართული 1373 წლითგან მოყოლებული თეიმურაზის დახმარებით და რჩევით; ამის შემდეგ თეიმურაზის შემწეობითვე და დახმარებით აღბეჭდა ბროსსემ ლითოგრაფიით, იქვე, „ხელოვნება აზნაურებითი" (გრამმატიკა), ანუ ქართული ენის თვით მასწავლებელი ფრანგთათვის. აქ ჩართული ხუცური და მხედრული მშვენიერი ასოთმთავრული ქართული ანბანი ტარასი ბერის ხელით დაწერილია.

თეიმურაზის ნებართვით ბროსსემ ფრანგულათ გადათარგმნა და აღბეჭდა 1838 წ. მისი ბიბლიოთეკის კატალოგი. თეიმურაზმა სხ. შორის, შეჰკრიბა ერთათ სხვა და სხვა ხელნაწერებში აქა-იქ გაბნეული ისტორიული ცნობები და თავოვის ადგილს ჩაურთო „ქართლის ცხოვრებას", რომელსაც დღეს საისტორიო მწერლობაში „თეიმურაზის ვარიანტს" უწოდებენ. ამიტომ ბროსსე ყოველთვის დიდის ქებით და თავმოწონებით იხსენიებდა თეიმურაზის სახელსა და შრომასა. როდესაც ბროსსე პეტერბურგში დაბინავდა და მეცნიერებათა აკადემიის წევრთა კრებას პირველათ წარუდგა, ასე მოიხსენია თეიმურაზი: „მე სხვაფრივ, თუ არ განცვიფრებით, ვერ ვახსენებ თეიმურაზ ბატონიშვილის სახელსა, რომელმაც დიადი მეცნიერება და ბრწყინვალე განვითარებული გონება შეუერთა თვის უზადოსა და მაღალსა ზნეობასა. იგი სამეცნიერო შრომაში ჰპოვებს ეშმარიტსა გასართობსა, რათა ერთის თვისის შრომით უკვდავჰყოს სახელი თვისი მშობელი ერისა. მე ჩემს თავს მის მოწაფეთ აღვიარებ, სინდისს ქვეშე" [1]). 18 თებერვალს 1836 წ. თეიმურაზმა სთხოვა წერილით რამდენიმე წიგნის შოვნა წერილით. სწერდა წერილებს პარიჟში, 20 მაისს 1835 წ. გაუგზავნა ბროსსეს 165 ფრანკი **ლიტერებისათვის**; მეორე წერილი ბროსსეს მისწერა 4 იანვარს 1836 წ. მისწერა აკადემიკოსს შარმუას და 330 ფრანკი გაუგზავნა შტიგლიცის ბანკის ორი ვექსილით და 33 ფრანკიც აზიურ საზოგადოებაში წლიური შესატანი, ხოლო ბროსსეს ამავე დროს გაუგზავნა 330 ფრანკი ლიტერებისათვის [2]).

28 თებერვალს 1836 წ. წერილი გაუგზავნა ბროსსეს და ლანცს, მიწერმოწერა ჰქონდათ ქართულათ და ბროსსე ჯერ მეცნიერებათა აკადემიის წევრი არ იყო [3]). პროფესსორის დავით ჩუბინოვის ბიბლიოთეკის № 14 ხელნაწერის ბოლოში ეკითხულობთ: „1838 წ. ივნისის 11. წმ. პეტრეს მამას მღვდელმოვარისა, ქართველთა მეფის ძისა ვარაზ-ბაკურისა, ცხოვრება გამოეგზავნა იოსელიანს, იმაზე ეწერა ეს რიცხვი (?) წელთა. აქ პეტერბურგის აკადემია ნაუკისათვის მოერთმივა და ესენი ზემომწერალთა სახელები დაუკარგველობისათვის გამოესწერე მე სრულიად საქართველოს მეფის ძემან თეიმურაზ, პოჩოტნი ჩლენმან აკადემია ნაუკისამან და ორ-დენოსანმან, წელსა 1839 წ. მაისის 7 მეფის გიორგის ძე თეიმურაზ" [4]). 1836 წ. თეიმურაზი გაემგზავრა და მოიარა გერმანია, დანია და საფრანგეთი. „ეს ქართლის ცხოვრება (576 გვ.) მქონდა, გერმანიაში რომ წაველ წელსა 1836 წ. მეფის ძე თეიმურაზი" [5]).

1843 წ. თეიმურაზმა შეადგინა და დასაბეჭდათ მოამზადა „განმარტება ვეფხის-ტყაოსნის ძნელ-გასაგებ სიტყვათა". ხელნაწ. 201 გვ inf. ამის შესახებ ფრიად საინტერესო ცნობებს გვაძლევს თეიმურაზი თავის თავზედ: „ქმნული მეფის გიორგი მეათცამეტის ძის თეიმურაზის მიერ, კავალერისა და სრულიად როსიის ს.-პეტერბურ-ღის აკადემია ნაუკისა პირველთა ჩლენთა შორის აღრიცხულისა პოჩეტნი ჩლენისა და დანიის საკოროლოს კოპენგაგენის სამეფოს საანტიკვაროსა შეკრებილებისა შინა პირველთა ჩვენთა შორის დაწესებულისა და პარიჟისა სორიეტე აზიატიკის ჩლენისა განმარტება ლექსთა მათ მაღლისა ფრასისათა, რომელნიცა არიან ძველნი ქართულნი და რომელნიმე შემოტანილნი სხვათა ენათაგან ქართულსა ენასა შინა, და აქა ვეფხვის-ტყაოსანმა სტიხთა შინა ხმარებული არიან, რომელიმე ლექსთა ამათგანნი გვარითა აღმოსავლეთისა მესტიხეთა მეტაფორისათა ქმნილ არიან". თავის ნაშრომს ხელნაწერს ასე აბოლოებს თეიმურაზი: „ვიღვაწე ზემო განმარტებანი ლექსთანი, რომელნიცა ძნელათ გასაგონი იყვნეს მშვენიერსა ამას შიგან წიგნსა შოთა რუსთაველისასა, ვეფხის-ტყაოსანსა, სასარგებლოდ ერთმემამულეთა ივერიელთა, გინა გიორგიელთა, ერთა ქართველთა. ვინაიდგან სტიხთა შორის ქართულთა ენისათა ესე უაღრესათ სხვათა აღმოჩენილ არს და დიდითა კელოვნებითა ქმნილ, არა ვრიდებ შრომის მოყვარეობასა ერთმემამულეთა ჩემთა ერთათვის და ვსასოებ, რომელ ესე ნაღვაწი ჩემი არა უგულებელს იქმნების მათ მიერ და ყოველნი მხილველნი ამისი და წარმკითხველნი კმაყოფილებით მიიღებენ და კეთილითა გულითა ქველ-მოსატყველ მექმნებიან მე ყოვლისა ზემოჲსა საქართველოჲსა და სხვათა მეფის გიორგი მეათცამეტის ძე თეიმურაზ. წელსა განხორციელებითგან სიტყვისა ღვთი'ა ჩყმგ, თვესა სექტემბერსა.

14 იანვარს 1844 წელს თეიმურაზს აცნობა მინისტრმა, რომ იმპერატორის სასახლეში ქართველთა მეფის ძეთ უნდა ეჭიროთ ადგილი სახელმწიფო რჩევის წევრების შემდეგ და სენატორებს ზევით, ხოლო მეფის ასული მეორე კლასსის რუს ქალების შემდეგ—მილოცვების და წვეულობის დროს.

თეიმურაზს ეძლეოდა ხაზინიდგან, როგორც საქართველოს სამეფო სახლის შვილს წელიწადში 6,750 მან. 20 კოპ. ჰქონდა ორი დიპლომი სამეცნიერო დაწესებულებათა წევრობისა.*)

გამუდმებულმა გონებრივმა შრომამ და, მეტადრე, რუსეთის სუსხიანმა ჰავამ დაასნეულა თეიმურაზი. ჯანი გაუტეხა.

1846 წ. თებერვლის 2 თავის ხელით დასწერა შემდეგი ანდერძი: „ქ. სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა ამინ. და მეოხებითა ყოვლად წმინდისა ღვთისმშობლისათა და ცხოელს მყოფელისა ჯვარისათა და ყოველთა წმიდათა ღვთისათა, ვყოფ ანდერძსა ამას უსასურველესო

[1]) იხ. Стат. по пет. и древн. Грузіи, Бакрадзе, გვ. 5—12.

[2]) ეს ლიტერები, ანუ ჩამოსხმული ქართული ხუცურ-მხედრული ასოები თეიმურაზს დასჭირდა თავის „ძველი ივერიის ისტორიისათვის", ბროსემ რომ დაამთავრა 1848 წ.

[3]) იხ. Цагарели, свѣдѣнія, III, გვ. XVII.

[4]) იქვე, გვ. 104.

[5]) იქვე, გვ. 148, ეს ხელნაწერი ბროსსემ დაბეჭდა 1848 წ.

*) იხ. Свѣд. III, 238.

ლის დროს მოჰკლეს 10 და დასჭრეს 8 მეზღვაური.

ლონდონი, 29 თიბათვე, ოფიციალი. გუშინ, საღამოს $10^1/_2$ ს. გაუმაგრებელ ქ. სიხემხარბოხს თავს დაეცა გერმანელების წყალ-ქვეშა ნავი, ესროლა 30-მდის ყუმბარა. მძიმედ დაიჭრა ერთი ქალი, რომელიც დღეს დილით გარდაიცვალა. ამის გარდა დაშავებულია რამდენიმე სახლი. სხვა მსხვერპლი არა ყოფილა.

ლონდონი, 30 თიბათვე, ოფიციალი. ბრძოლის დაწყების შემდეგ მტერს დიდი მაშველი ჯარი მოსდის. ზოგ ადგილას გერმანელებმა იერიშები განაახლეს. ტყე ტრონი მათ ხელთ იგდეს. დანარჩენ ადგილებზე იერიშები მოვიგერიეთ და მტერს დიდი ზიანი მივაყენეთ.

ლოოსის სამხრეთ-აღმოსავლეთით ინგლისელ მსროლელთა ერთმა რაზმმა გერმანელთა თხრილებს მიაღწია და დიდიდი ზარალი მიაყენა. აქ ტყვედ რამდენიმე გერმანელი წამოვიყვანეთ.

რომი, 29 თიბათვე. ოფიციალი. ტრენტინოს მიდამოებში გერმანელები სცდილობენ ჩვენი წინსყლა შეაჩერონ. ამისათვის მათ აღმოსავლეთ ასპარეზიდან მაშველი ჯარი კვლავ აქეთ გადმოიყვანეს. გუშინ მთელი დღის განმავლობაში საარტილერიო ბრძოლა იყო. მონტეკორნოს ჩრდილოეთით ხელთ ვიგდეთ მტრის რამდენიმე სიმაგრე, მაგრამ მან ცხარე ბრძოლის შემდეგ ისევ უკანვე დაიბრუნა. ტოვანეს მიდამოებში მტერმა იერიში მოიტანა ჩვენს სიმაგრეებზე, მაგრამ უკუ ვაგდეთ. აქ ჩვენ ხელთ ვიგდეთ ტყვიის მფრქვეველი და 30 ტყვე.

რომი, 30 თიბათვე. ოფიციალი. კამონიკოს, ჯუდიკარიას და ლიდროს ველზე მტერი სოფლებს ზარბაზნებს უშენს. აღიდჟეს მიდამოებში ჩვენ წინ წავიწიეთ და ის სიმაგრეები, რომელნიც 27 თიბათვეს დავკარგეთ, კვლავ უკან დავიბრუნეთ. ინდრიის ველზე, ტოლმინოში სანტა-მარიის საყდარი ყუმბარით ავაფეთქეთ. მტრის მორინავმა ლაზიტანოში რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო. რამაც ცეცხლი გამოიწვია. ჩვენმა მფრინავმა რაზმმა 27 თიბათვეს კიონეს და ჯურდიკარიოს ყუმბარები დაუშინა.

ქურნალ-გაზეთებიდან

გერმანელთა სიმაგრეები.

ინგლისელთა სამხედრო კორესპონდენტები აღწერავენ გერმანეთის თხრილებს, რომლებიც დიდ სამაგრეებს წარმოადგენენ. ინგლისელებს ზედიზედ რამდენიმე თხრილების ხაზის აღება უხდებათ. გერმანელებს ოთხი წყება თხრილები აქვს, თითო მათგანი რამდენიმე მავთულის ხლართით არის გამაგრებული. ამ თხრილების უკან ჯერ გერმანეთის საველე არტილერიაა გამართული, ხოლო შემდეგ მძიმე ზარბაზნებია დაწყობილი. ინგლისელების წინ წაწევის დროს, გერმანელთა პირველ ხაზის თხრილებს ეხეთქნენ, რომლებიც ხელთ იგდეს. ამის შემდეგ ინგლისელებს საქმე მეორე თხრილებთან ექნებათ. კორესპონდენტების სიტყვით

მეუღლეო ჩემო, მეფის სძალო ელენავ, ოთარ ამილახვარის ასულო! მე ჰაბუკობითვე ჩემით მრავალთა სხუათა და სხუათა სოფლის შემთხვეულებათაგან თითქმის იწროებით განვატარე, ამისთვის ვინაჲდგან მე არა რაჲ სიმდიდრე დამიშთა ჩემთა მშობელთაგან და სხვა შეძინებული არა რაჲ მაქვნდა და თუ შენ, მეუღლეო ჩემო, რაცა გაქვნდა ფული სრულათ მე დაგიხარჯე და რაც ნივთი გქონდა, ან ვერცხლეული—ყოველივე ლომბარდში დაგიგირავე, რომელიც რომ ველარ დაგიხსენ და ბილეთები ისე დაგრჩათ და შენს მოვალეობას ქვეშ დავრჩი. აწ მე სასოება მაქუს ხელმწიფე იმპერატორისაგან, რომ რაც მე პენცია მაქუს იმისი მოწყალება არ ინებებს, რომ ის პენცია შენ არ დაგიმტკიცოს ჩემს შემდგომად, ამისთვის რომ რადგანაც ხელმწიფე იმპერატორი ყოველს ჟამს ჩვენზედ განსხვაებით მოწყალე ბრძანდებოდა და ჩემს სახელს შენს სიცოცხლეში არ მოშლის. არც ჩვენს სახლის საყდარს მოგიშლის, საყდარი ჩვენი ჩემი და შენი არის და ჩემს შემდგომ სრულიათ შეა (მკე?) და მათი წმიდა ხატჯვარი ყოველივე და ჩვენის სახლისა შემკობილნი და შეუმკობელნი—შენნი არიან და ამ ეკლესიაში იმ წესით, როგორც ჩემს დროს იყო დაწესებული—ისე უნდა ისვენოს და ასეთი ბინა უნდა დაუდვა ხელმწიფე იმპერატორის თხოვნითა და შეწევნით, რომ ის ეკლესია არ მოიშალოს. ჩემი ქართული წიგნები სრულათ შენ დაგიდევ და თქვენ შემდგომად ჩვენს

საყდარს საცა გექმნებათ, გამორჩევით ერთი სახლი უნდა გაუკეთოთ და დაუწყოთ ყოველივე წიგნები საღმრთო, თუ საერო, რომ საქართველოს ხალხის სახმარათ იქ ეწყოს საუკუნოთ. ამას გარდა ჩემი წილი სრულიად ჩვენის ქარვასლისა ტფილისში რომელიცა გვაქვს, შენ ვის მიანდერძებია და ეს ქარვასლა ჩვენი მდგომარეობს სიონის მეორე ულირაში, მეორეს კვარტალში სდგას, ეს ჩემი წილი ამ ხსენებულის ჩვენის ქარვასლისა საუკუნოთ შენთვის, სასურველო მეუღლეო ჩემო, მეფის სძალო ელენე მიჩუქებია. ღმერთმან მოგახმაროს, როგორც შენი სურვილი იყოს—ისე მოიხმარე. ჩემი საყდარი პეტერღოფს შენს სახლში გადადგი და როგორც დაგარიგე, ისე შეამკევ და ისე გააააწყევ. ტ თუ აქ არა გნებავს ტ საქართველოში წაიღევ და იქ აღარჩივე ერთი ნაოხარი, ანუ ნაკლულევანი ეკკლესია, რომ შენთვის საუკუნოთ საკუთარი იყოს, ის გააწყე და ჩემს სულს საუკუნოთ ნუ დაივიწყებ.

წელსა 1846 თებერვლის 2, სანკტ-პეტერბურღს სრულიად ზემოისა საქართველოჲსა მეფის გიორგის მეათცამეტის ძე თეიმურაზ.

ეს მთელი ანდერძი სრულიად მეფის ძმ თეიმურაზმა ჩემის კელით დავწერე".

მღ. პოლ. **კარბელაშვილი.**

(დასასრული იქნება)

დამოებში. დორნოვატრთან ავსტრიელებმა დიდ ძალას მოუყარეს თავი და რუსებს სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ.

კევესის ჯარი.

ბუქარესტიდან მოსული ცნობით „უნივერსალი" იტყობინება, რომ კევესის ჯარი, რიცხვით 100.000 კაცი, ალბანეთიდან დორტნოვატრისკენ იწევს, რათა რუსებს წინააღმდეგობა გაუწიონ, რომ მით ტრანსილვანია უზრუნველჰყონ.

ფრანგ-ინგლისელთა მოქმედება.

პარიზიდან მოსულ ცნობებით ფრანგ-ინგლისელთა საერთო შეტევა გრძელდება. თუმცა ამ ასპარეზის მარცხენა ფრთაზე გერმანელებმა ინგლისელების შეტევა შეაჩერეს,—სამაგიეროდ დანარჩენ ადგილებში მოკავშირეთა ჯარი წინ იწევს. ვერდენთან ფრანგების არტილერიამ დიდი ზიანი მიაყენა გერმანელებს. როცა ფრანგებმა გერმანელების მეორე ხაზის თხრილებს მიაღწიეს, აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ თხრილებში გერმანელებს 80 პროც. ჯარისა დაჰლუპოდათ. ბევრგან გერმანელები ტყვედჰნებდებოდნენ ფრანგებს.

ბალკანეთის ასპარეზი.

მაკედონიაში, გევგელის და დორანის მიდამოებში გერმანელ-ბულგარელების და ფრანგების მოწინავე რაზმებს შორის ცხარე შეტაკება მოხდა. გერმანელებმა იერიში მოიტანეს ფრანგების სიმაგრეებზე, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ.

კავალის ბლოკადა.

მოკავშირენი კავალის ბლოკადას განაგრძობენ. როგორც სჩანს ამ ბლოკადის შემწეობით მათ ჰსურთ აიძულონ გერმანელ-ბულგართა ჯარი აღმოსავლეთ-მაკედონიაში დასტოვონ. სურსათის შეტანა ქალაქში აღკრძალულია.

გერმანელების პარლამენტარიები.

სოფიაში პარლამენტარიებთა საპატივცემლოდ ბანკეტი გაიმართა. ბანკეტზე რეიხსტაგის წევრმა მიულლერმა განაცხადა, რომ გერმანეთი სერბეთს სამუდამოდ მოსპობილად სთვლის, როგორც სახელმწიფოს. მთელი მაკედონია და ნაწილი ძველი სერბეთისა ამიერიდან ბულგარეთის საკუთრებად ითვლებოდაო. ამასთანავე, დასძენს პარლამენტის წევრი, გერმანეთს აზრად აქვს, შექმნას „დიდი ბულგარეთი", რომელიც შესძლებს რამდენიმე წლის განმავლობაში მთელი დობრუჯა დაიპყროს.

რუსეთ-იაპონიის შეთანხმება.

რუსეთ-იაპონიის შეთანხმებამ პეკინში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. აქ იმ აზრისა არიან, რომ ეს შეთანხმება ჩინეთისათვის დამღუპველი იქნება და ამიტომ ჩინეთმა ყოველი ღონისძიება უნდა მიიღოს, რათა ამ შეთანხმების საწინააღმდეგო რამე პოლიტიკური საშუალება გამოსძებნოს.

კოველ-პერრონის ბედი.

როგორც ირკვევა, გერმანელები ეხლა ყოველ ძალ-ღონეს ხმარობენ, რომ როგორმე კოველი და პერრონი იხსნან, მაგრამ ამ ბოლო დროს მათი მოქმედებიდან ირკვევა, რომ ერთ-ერთ ამ ქალაქთაგანს ისინი დასტოვებენ, რათა შეინარჩუნონ მეორე.

დეპეშები

(პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან)

რუსეთის ასპარეზზე გალიციაში ქვემო სტრიპას დასავლეთით მკაცრი ბრძოლაა.

—

კავკასიის ასპარეზზე ბაიბურთის აღმოსავლეთით მტერი უკუ ვაქციეთ. მამახათუნის ხაზით რუსებმა სოფ. შაპელსენტფილის განაპირა ნაწილები ხელთ იგდეს.

—

ადრიატიკის ზღვის ინგლისელი ადმირალი იტყობინება, რომ ავსტრიელთა კრეისერმა რამდენიმე მზვერავი ტრალერი დაჰლუპა.

—

ინგლისის ასპარეზზე გერმანელებმა ხელახლად დაიბრუნეს ტრობის ტყე.

—

იტალიის ასპარეზზე იზონცოს ხაზით საარტილერიო ბრძოლაა. აქვე ავსტრიელთა მფრინავები მოქმედებენ.

—

ფინეთში სეიმის არჩევნები დამთავრდა. აირჩიეს 103 სოც.-დემ, 33 ძველი ფინელი, 23—ახალგაზდა ფინელი, 21—ცვედელი, 19—აგრარი, 1—ქრისტიანი მუშა—სულ არჩეულია 200 კაცი.

კვირის სურათებიან დამატებაში მოთავსებული იქნება: **სურათები: ბრძოლის ველი, ნაპოლეონის ომის დროიდან, ს. ს. ელიაძე. შოთა ყვავილებისაგან, ბრძოლის ველი, ომში დაჭრილნი და დაჯილდოვებულნი, რამდენიმე კარიკატურა „შმერლინგისა. ლექსები: კ. მაყაშვილისა და შ. მღვიმელისა. მოთხრობა: „უბედური რუსი" შალვა დადიანისა.**

ახალი ამბავი

სასახლეში. მეფის ნაცვალს დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს სადარბაზოდ წარუდგა მეფის ნაცვლის საგანგებო მინდობილებათა მოხელე მეხუთე კლასისა კამერგერი დ. ე. ჩოლოყაშვილი.

დიდუბის ტაძრის განძეულობის გაქურდვის გამო ამ ტაძრის კრებულმა ვრცელი მოხსენება წარუდგინა საქართველოს ექსარხოსს სინოდში საცნობად, როგორც ამ მოხსენებიდან სჩანს მღ.-მშობლის ხატიდან ბოროტ გამძრახველს ჩამოუძარცვია ბეჭდები, სამაჯურები, ოქროს საათი, გულის ქინძისთავები, საგულმკერდე, ოქროს პატარა აკვანი, საყურეები, ორი ძველებური კრიალოსანი. გაძარცული კრებულის გამოანგარიშებით 500 მანეთის ღირებულობას წარმოადგენს. აქედან 400 მანეთის ნივთები უკვე ნაპოვნია. ასე რომ 100 მანეთის ნივთები აკლიაო.

მოსკოვის კოოპერატიული სახალხო ბანკი თბილისში. ცნობილ მოსკოვის სახალხო ბანკს გადაუწყვეტია გახსნას თბილისში თავისი საგენტო განყოფილება. ამ განყოფილების გამგეთ მოწვეულია ჩვენი ცნობილი კოოპერატორი **კონსტანტინე პლატონის ძე კანდელაკი.**

საადგილმამულო კომისია. გუშინწინ 30 თიბათვეს საადგილმამულო კომისიის წევრთა კრებულმა გადასწყვიტა: მოიწვიოს მდივნის თანამდებობაზედ მახლობელი თანამშრომელი ალ. ყიფშიძისა და საადგილმამულო კომისიის „დებულების" ერთ-ერთი შემდგენელთაგანი– წევრი ამავე კომისიისა **დავით ვლადიმერის ძე ვაჩნაძე.**

ქალაქის უმაღლეს კურსებთან როგორც პეტროგრადიდან იტყობინებიან მომავალ სამოსწავლო წლიდან იხსნება საექიმო ფაქულტეტი.

ქალაქის გამგეობის მსახურთა ეკონომიურ საზოგადოების გამგეობამ დაადგინა გაიგზავნოს ერთ ერთი გამგეობის წევრი მოსკოვსა და პეტროგრადში ბაკალიალურ საქონლის და ბავშვებისა, ქალებისა და კაცების ამერიკულ ფეხსაცმელის შესაძენათ. ფეხსაცმელი გაიყიდება როგორც წევრებზე ისე ქალაქის კოოპერატივების მომხმარებელ მაღაზიებში.

ახალი საზოგადოება. თბ. გუბერნატორმა დაამტკიცა დუშეთის სასოფლ-სამეურნეო საზოგადოების წესდება. საზოგადოების დამფუძნებელად არიან აგრონომი გ. ვ. დალაქიშვილი, კნ. ს. ე. რატიშვილისა, თ-დ გ. ა. ბაგრატიონ მუხრან-ბატონი და სხვ.

ხუდადოვის ნეშთის გადასვენება. ქალაქის მოურავმა შუამდგომლობა აღძრა რათა ყოფილ ხმოსნის ექიმ ნ. ა. ხუდადოვის ნეშთი გადატანილ იქმნეს ვერის სასაფლაოდან ხუდადოვისეულ ბაღში (ნაძალადევში)

საექსარხოსოს შესანახი თანხა. თანახმად საქართველოს ექსარხოსის შუამდგომლობისა უწმ. სინოდს გადაუწყვეტია იმ თანხას, რომელიც საქართველოს საექსარხოსოს შესანახად აძლევს ყოველწლიურად კიდევ დაემატოს წელიწადში 75 ათასი მანეთი.

ბრძოლის ველზე უკვალოდ დაიკარგა პრაპორშჩიკი კონსტ. მიხ. ჩაჩიკაშვილი.

სეტყვას, როგორც თბ. გუბერნატორის კანცელარიას ატყობინებენ, ს. ნაფარეულში 53 დეს. ნათესი და $20^1/_2$ დეს. ვენახი დაუზარალებია. ზარალი 6220 მან. უდრის. ნაფარეულის საუფლისწულო მამულში—78 დეს. ვენახი 62400 მანეთისა, ს. სანიორეში 96 დეს. ნათესი 3760 მანეთისა და სოფ. ფშაველში—ნათესობა პურისა 122 დეს., ქერისა $35^1/_2$ დეს. სულ 5590 მანეთისა.

ქართ. დრამატ. საზოგადოების კრებაზე არჩეულ ახალ წევრებს სრული ხმის უფლება მიენიჭათ არჩევის შემდეგ პირველ კრებიდანვე და არა ერთი წლის შემდეგ, როგორც შეცდომით გვქონდა მოხსენებული.

შეწირულება- ცნობილ ნავთის მრეწველმა აკაკი მეთოდის ძე ხოშტარიამ 6 ათასი მანეთი შესწირა ბათომის ქართულ ტაძრის დასამთავრებლად.

ფქვილის კრიზისი. თბ. გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას გაუგზავნოს ფქვილი აბასთუმნის „ბელი კლიუჩის" და გორის მცხოვრებთ, რომელნიც ძლიერ საჭიროებენ ფქვილს. ქალაქის გამგეობამ უპასუხა გუბერნატორს, რომ თვით განიცდის ძლიერ გაჭირვებას, ასე რომ ძნელია დავეხმაროდ სხვაგანაო.

სამრევლო სკოლის მასწავლებლებს ქ. თბილისში უკვე დაურიგეს დღიური საკვები თანხა ორ-ორი თვისა. თვიურად თითო მასწავლებელს მიეცა 12 მანეთი.

თბილისში ჩამოვიდა პორფესორი მ. ი. სვეჩნიკოვი.

სამეურნეო აღწერილობა დუშეთის მაზრის სამეურნეო აღწერილობის გამგედ დანიშნულ იქმნა აგრონომი დალაქიშვილი, მცხეთის საპოლიციო უბნის აგრონომი დადიანი, ბორჩალოს მაზრის აგრონომი ლომაური, ხოლო სიღნაღის მაზრის აგრონომი სამადაშვილი.

ექიმთა კრება. დღეს, საღამოს 8 საათზე დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში დანიშნულია ექიმთა და ბუნების მეტყველთა კრება.

შემოწირულება. რედაქციამ მიიღო ადამ ფორაქაშვილისაგან აგარაკის სასარგებლოდ 25 მან.

საბაღოსნო სკოლაში წყლის საქაჩი გაფუქდა. ბაღი აღარ ირწყვის და მცენარეულება ფუქდება.

ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ დაადგინა საგარეჯოს საფეიქრო სკოლაში შეგირდები გამოიცადონ ამ დღეებში. გამოცდას დაესწრებიან საბჭოს წევრები, სკოლის მზრუნველი ბ-ნი ჩხეიძე და სახელსაქმო კომიტეტის წარმომადგენელი.

დააჯილდოვეს მეორე ხარისხის ანნით ქვაშვეთის ეკლესიის მღ. დიმიტრი ლაზადაშვილი, რომელიც ომის დაწყებიდან ავსტრიის ასპარეზზე იმყოფება.

ექსკურსია არმაზს. 3 ივლისს, ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების თაოსნობით შესდგება ექსკურსია არმაზს. ექსკურსანტები გაემგზავრებიან დილით, 9 საათზე, მცხეთის მატარებლით. მსურველმა უნდა თვითონვე აიღოს ბილეთი და საჭირო საგზალიც წაიღოს. მონაწილეობა შეუძლიან მიიღოს ყველა მსურველმა. ექსკურსანტები უკან დაბრუნდებიან საღამოს.

საგანგებო კრება. ხვალ, 3 მკათათვეს, დღის 12 საათზე, დანიშნულია ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება, რომელმაც უნდა აირჩიოს საზოგადოების მდივანი.

კრება. დღეს, 2 მკათათვეს, საღამოს 8 საათზე, თავად-აზნაურთა საკრებულოში (ბელინსკის ქუჩა) კრება ექნებათ ქართველ ექიმთ და ბუნების მეტყველთ. კრებამ უნდა განაგრძოს განხილვა მოსალოდნელ საზოგადოების წესდების პროექტისა.

ქართული წარმოდგენები პროვინციებში. ამ დღეებში ბორჯომს მიემგზავრება მსახიობი იუზა ზარდალიშვილი, რომელიც აპირებს ამ ზაფხულში ქართული წარმოდგენები გამართოს როგორც ბორჯომში, აგრეთვე ახლო-მახლო ადგილებში. პირველი წარმოდგენა გაიმართება ბორჯომში 15 ამა თვეს.

ტყავეულობის რეკვიზიცია. მთავრობამ რეკვიზიცია დაადვი ქალაქის ლომბარდში კერძო ვაჭრებისაგან დაგირავებულ 5—6 ათასი მანეთამდე ღირებულ ტყავეულობას. ქალაქის გამგეობა სთხოვს საბჭოს შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე, რომ ეს ტყავეულობა გაანთავისუფლოს რეკვიზიციისაგან.

ღამის ვაგონები. ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა ტრამვაის დირექციას დაუყონებლივ გამოარკვიოს, რამდენი ვაგონისთვის არის მიუცილებლად საჭირო შეკეთება და ნაშუალამევს რამდენი ვაგონის მუშაობა შეიძლება.

ქალაქის მოურავმა წინადადება მისცა ქართულ და სომხურ დრამატიულ საზოგადოებათა გამგეობათ დანიშნონ თავიანთი წარმომადგენელნი ზუბალაშვილის სახალხო სახლის გამგე კომისიაში.

საკვები. 30 თაბათვეს და 1 მკათათვეს ქალაქის თვითმართველობას მოუვიდა 52 ვაგონი ფქვილი და 5 ვაგონი შაქარი.

გადამდები სნეულებანი. გუშინ, 1 მკათათვეს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: წითელათი 1, ქუნთრუშიანი 47, ხუნაგიანი, 11, ყვავილიანი 1, სახადიანი 92 და საოფლიანი 173 კაცი.

ჭიათურის-ფარეულის გარეშეა

ბათომელთა დეპუტაციის ჩამოსვლის გამო თბილისში ორი კერძო თათბირი მოხდა, რომელზედაც კრებამ მსჯელობა იქონია ჭიათურის უცხოელთა წარმოებების გაყიდვის შესახებ. ამ კრებებზედ ერთხმად მოიწონეს ბათომელთა მოსაზრება, რომ ამ მამულების შეძენის თაოსნობა დაეკისროს თავადაზნაურობის საკრებულოებს და ჭიათურის მრეწველთა საბჭოს. გამოითქვა აზრი, რომ თუ ეს დაწესებულებები ამ საქმეს ენერგიულად მოჰკიდებენ ხელს, მისი სასურველად დაბოლოვება უზრუნველყოფილი იქმნება და მოქალაქეთა წრე და ყველა სხვა წოდებებიც ამ საქმისთვის არაფერს არ დაიშურებენ.

ალ. ყიფშიძის გარდაცვალების გამო

სამძიმრის დეპეშები

ალექსანდრე ყიფშიძის გარდაცვალების ამბავმა ძლიერ დამაღონა. განსვენებულის ძმებს გულწრფელ თანაგრძნობას ვუცხადებ.

ეპისკოპოსი დავითი.

—

ქრეიცბურგი. სამშობლომ დაჰკარგა თავისი საუკეთესო შვილი ალექსანდრე ყიფშიძე. ჩვენი მწუხარება ენით გამოუთქმელია.

ექიმები: **მესხიშვილი** ტ **იშხნელი.**

—

სამძიმრის წერილი

ს. უკანეთი (ქუთაისის მაზრა). 24 თიბათვეს ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის, **ალექსანდრე ყიფშიძის** გარდაცვალების მეცხრე დღეს, უკანეთის მაცხოვრის ეკლესიაში მისი სულის მოსახსენებლად წირვა და პანაშვიდი გადავიხადეთ. პანაშვიდის დაწყების წინეთ მღვდელმა მიხეილ ბუაჩიძემ დამსწრე საზოგადოებას გადაცვალებულის ვინაობა და ღვაწლი განუმარტა. ამასთანავე მამა ბუაჩიძემ ხაზგასმით აღნიშნა განსვენებულის უკვდავი ნაშრომი „მთიულეთი" და „კახეთის ამბოხება". წირვა-პანაშვიდს, სოფელ უკანეთის ინტელიგენციის გარდა, მდაბიო ხალხიც ბევრი დაესწრო.

სიტყვა

ბახში ბეგ მაჩაბლისა ალ. ყიფშიძის დასაფლავებაზე

ჩვენთვის ძვირფასო და მარად სახსოვარო ალექსანდრე თევდორეს ძეო! ჩვენ გამოგვეგზავნეს მესხეთის და ჯავახეთის ქართველმა მაჰმადიანებმა, რათა მოგიძღვნათ ჩვენ საყვარელ მეგობარს და მასწავლებელს დამწუხრებული ჩვენი გულის სალამი. შენ აგვიხილე თვალი, შენ დაგვანახე ჩვენი სამშობლო, ჩვენი ღვიძლი ძმანი და შეგვაყვარე იგინი. შენ შთაგვაგონე მოვალეობა ჩვენგან დავიწყებულ საქართველოს წინაშე და ვეცდებით ღირსეულად აღვასრულოთ იგი შეგნებულ ქართველთა დახმარებით. იმედი გვაქვს, ქართული კულტურული დაწესებულებანი და კერძო პირნი განაგრძობენ შენს საქმეს დაგვიარსებენ ქართველ მაჰმადიანებს ქართულ სკოლებს, სახელოსნოებს, დაგვიბრუნებენ ჩვენს დედა ენას... და გამოცოცხლებული, აყვავებული მესხეთი და ჯავახეთი თავის მადლიერ გულზედ აღაგებს საუკუნო ძეგლს დაუვიწყარ ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძისას!

ეხლა კი გულდამწვარნი გეთხოვებით. შენი მშობელი მიწა, რომელიც შენ ასე უზომოდ გიყვარდა, მშობლიურის სიყვარულით ჩაგიკრავს გულში. განისვენე ღირსეულო მამულიშვილო ღირსეულთა შორის! მშვიდობით ძვირფასო ძმაო!

გზა და გზა

თბილისიდან ფასანაურამდე.

უბრალო შემთხვევამ შესცვალა ჩემი მოგზაურობის გეგმა. დასავლეთ საქართველოს ნაცვლად ჩრდილოეთისკენ გამოვწიეთ. ეს მოხდა 21 თიბათვეს, ძვირფას მამულიშვილის ალ. ყიფშიძის დაკრძალვის დღეს. არ ვიცი, ეს თუ კიდევ სხვა რამ მიზეზი იყო უმთავრესი საბაბი, რომ გული ვერ მოვიბრუნე და ჩემს თანამგზავრთან ერთად უხმოდ მივფრენდით ავტომობილის თავშეუკავებელ ქროლვაზე. უსიტყვო სევდა. სევდა, რაიც ითხოვდა აღმოთქმას, სიტყვების კაბის გადაცმასა, მღელვარე ფიქრებს მისერავდა. სიკეკლუცე და მშვენიერება ჩვენი ბუნებისა, რომ-

ლის შესახებ დაბადებიდანვე ბევრი რამ გვსმენია ჩვენს მწერლებისაგან, უცხოელთაგან თუ თვით ჩვენივე თავისაგან, ამ ჟამად ჩემს ფიქრის ხვეულს შავს არშიად ევლებოდა და კაეშანს მიმიჯნურებდა. ჩემს გვერდით მჯდომარე შოფერი ისევე არ იზიარებდა ჩემს უსიტყვო ტანჯვას, როგორც თანამგზავრნი, რომელნიც მხიარულებდნენ და მეც ათასში ერთხელ ან სიცილის და ან სიმღერის ფერხულში მიწვევდნენ ჩასაბმელად.

ჩვენი დიდების აკვანის—მცხეთის პანორამამ უფრო გააცხოველა ჩემი სევდა. აი, სვეტი ცხოველი. აგერ, მარჯვენით, კალმით აუწერელ მშვენების გოლგოთაზე ამართული ჯვარის საყდარი, აქ, ამ ადგილებში ერთ დროს სიცოცხლე სდუღდა! აქ, ჩვენი ერი თავისი მეფითურთ და წინამძღვრებით განაგებდნენ საქართველოს ბედს. მერე რა იქნა ეს დიდება? რად გვეპირვება ეს უსულ-გულო ჩონჩხნი ძველის დიდებისა, ეს აკლდამანი დამარხულის ბედნიერების, თუ კი დღეს მხოლოდ და მხოლოდ ქართა საღრღნელ ძეგლებად დარჩებოდნენ, ვიდრე უკანასკნელი გრიგალი არ წამოაგორებს ერთსაც და მეორესაც და მტკვარ-არაგვის ზვირთებში ისევე არ ჩანთქავს, როგორც ერთ დროს ჩაიმარხა არა ნაკლებ საყვარელი და ჩვენთვის უძველეს დროის სიამაყე კერპთა კერპი დიდი არმაზი!

შოფერი მიჰქროდა. იგი თითქოს ამართლებდა სხვა დროს ჩემთვის სრულიად უმნიშვნელო პარადოქსს მარინეტისას, რომ „ჰალალას მშვენიერებას რომელიმე პილოტის პროფილი სჯობიაო. ათასში ერთხელ გამომეხმაურებოდა, მიმითითებდა რომელიმე ძეგლზე და შემნიშნავდა: აი, ეს მცხეთის საყდარია... ეს წილკანი...

კილოზევე ვატყობ, რომ უცხო ეროვნებას ეკუთვნის იგი. ჩემს ტენდენციურს შეკითხვებზე იგი სრულიად უცოდინარ კაცადა მრაცხდა და თვით დიდი სვეტიცხოვლის შესახებ მამცნობდა, ეს ქართველების საყდარია!

— მართალია?—ვეკითხები განცვიფრებით და ახლა ვთხოვ ფეხის გადადგმაზე ყოველისფერი მითხრას, მიამბოს, რაც იცის და არ იცის. ისიც მართლაც მიამბობდა რაც „იცოდა და არ იცოდა“ და ათს სულელურ სიბრძნით მართობდა, დარდს მაყოლიებდა.

არაგვის ხეობაზე ავტომობილის გასრიალებამ უცბად შესცვალა ჩემი ბუნება. აქეთ მხარეზე პირველად მიხდებოდა მგზავრობა და ბუნებრივად თვალად და ყურად გარდავიქეცი. გველსავით გაკლაკნილი სამხედრო გზა და თვალწარმტაცი პანორამა მიაკურა მდინარის ხეობისა თითქოს ფეხის შედგმისთანავე გპირდებათ ზღაპრის ქვეყანაში შესვლას. ათასი უხილავი ხელი, ათიათასი თეთრი ფრთა ეალერსება თქვენს ფიქრს, აზრს, აშლის თქვენს ნებისყოფას, ათასი ხმა და ათიათასი ტიტინა ენა, როგორიც ნაპრალებით მოჩუხჩუხე წყაროები, მოგითხრობთ მდევარ ბუმბერაზობას ამ ქვეყნისას, მხარბეჭ გადაშლილ გრეხილთა ძალოვნებას, ცისა და ხმელეთის შეუყწვეტელს ფალავნობასა. თქვენ წინ გმირნი სდგებიან, აჩრდილნი წიპაპართა რაზმრაზმად მონავარდობენ და ათას ციხეკოშკის ნანგრევთა კარებიდან გამოსულნი არაგვის გიჟურს პოპურზე მოიმღერიან მოყიჟინე ძლევის სიმღერას! მართლაც, ძნელია, რომ ამ მშვენებას არ შესძახო! „არაგვო, მაგ შენს ამწვანებულს მთებს“...

ამაოდ ეცდებით შენიშვნები ჩასწეროთ თქვენს დღიურში. ან რა „შენიშვნების“ ჩაწერა შეიძლება? რას მიაქცევთ ყურადღებას? რომელი ერთი აირჩიოთ? აგერ, ეს კოშკი, არაგვის ერისთავთა ძველის-ძველი ციხე-დარბაზი? ის ფრიალო თავის საუკუნეთა მოდარაჯე პატარა ნიშით? ან იქნებ ეს შორეული სოფელია აღსანიშნავი? იოსეს კურთხეული ადგილი, ერთ დროს დიდებული წილკანი ეხლაც დაგიქნევთ ეხლაც ჰსურს რაღაცა გითხრათ, ხელს, მოგიალერსოთ, ცრემლების ფრქვევით დაგებაროთ რაღაცა სანუკვარი რამ, მაგრამ განა რას გეტყვით ისეთს რამეს, რაც არ იცოდეთ, რაც თქვენს დაკოდილს გულს არ შეეჩნიოს, არ გაეგონოს? ვიცით, ვიცით მისი ცრემლები, ვიცით, რომ მისი ფიქრი და ზრახვაა გამანდოთ საიდუმლო „ოქროს აკვნის“ შესახებ, რომელიც მის გვერდითვე ცნობილ „ბაზალეთის ტბის“ ძირზე ჩამარხულია ჯერ უნახავ მზის ასულითა, ვიცით, ასული იგი ბევრს რამეს ჰპირდება საქართველოს, ვიცით აღთქმანი ლეგენდების, მაგრამ განა მარტო ცოდნაა საჭირო? ვაგლახ! საქმეც ის არის, რომ ვიცით. უბედურების დათმენა უკაცობითაა შესაძლებელი და არა ცოდნით და უძლურების შეგნებით. ჩვენც ვიცით ყველა ეს, ვიცით და სწორედ გულს ის გვწყვიტავს, რომ არა სჩანს გმირი, არა სჩანს რაინდი ძლიერი მკლავით, რომ სინამდვილისთვის ლეგენდის ლეჩაქი აეხადნა, ტურფა მერნით შეფრენილიყო, ზვირთთა ქაფი გამოერღვია და მის ფსკერში ჩამძვრალს ამოეცოცნა სანუკვარი მზისა ასული!

ფიქრი ფიქრს მისდევს, ვით ავტომობილის მიერ გაქროლილი მანძილი მანძილს და ჯადოსნურ დედაბრის აბრეშუმის გორგალსავით ნაზად ეხვევა. აი გამოვცდით წილკანს, ერთი მოსახვევიც და თითქოს უფსკრულასკენ მივექანებით. აქ, ამ მოხვეულ ფერდობით მარჯვენა მხარეს მოსჩანს დუშეთი! შორიდანვე შეატყობთ, რომ ეს უფრო მოზრდილი სოფელია, ვიდრე ქალაქი, ერისთავთა სამფლობელო დედა ქალაქი, რომლის შესახებაც პლატონ იოსელიანმა ათასი ქათინაური დაახარჯა აქ ნიკოლოზ პირველის მობრძანების დროს. მაგრამ აი, უფსკრულის ძირს ჩაიკარგეთ და შეუდექით მაღლობს. დუშეთი გვერდით რჩება, მაღლობი თითქოს გინრისხდებათ. ერთად ერთი მქროლავი შოფერი არ დაგიდევთ ამ მრისხანებას და გველსავით მოკლაკნილს გზატკეცილზე მიჰქრის, მიგაფრენთ. ათასში ერთხელ თუ გაჯავრდებით. ბისცემს ნიშანს, რომ წეროებსავით აწიალებული ფურგონები და სამხვდრო ურმები ჩამოიცალოს სწრაფად გზიდან. მიჰქრით და ასეთ წეროებს ათასობითა ხვდებით მოდიან, მოწიალებენ. ცხენებით, საქონლით... ხედავთ, რომ ომის ღმერთს მთაც შეურყევია, მთაც ჩაუბმია სისხლით მჩქეფარე ფერხულში, მთაც გაუწირნია, აქაც რეკვიზიციის ქარცეცხლს წამოუტაცნია მუშა ხელი, ცხენი, ხარი. ხედავთ ყველა ამას, ხედავთ და შთაბეჭდილებათა კაეშნიან ხროვა ზედმეტი ნაღვლი ექცევა პირზე.

დ. კასრაძე.

(დასასრული იქნება)

„სკოლა ტყეში“

26 თიბათვეს ჩემი პატარა ქალიშვილი მივაბარე ამ სკოლაში, სადაც რაოდენიმე ფიზიკურად სუსტი ბავშვი იკვებებიან სულიერად, ხორციელად და ზნეობრივად და სარგებლობენ მშვენიერი ფიჭვნარი ტყის სუნით, მთის სუფთა, გრილი ჰაერით, მჟავე რკინის მადნეული ცივი ანკარა წყლით, ცხელ-ცხელი კარგი საჭმელებით და რეპეტიტორ-მასწავლებლების მშობლიური მოვლა-პატრონობით და სწავლებით. ერთი სიტყვით ეს სკოლა ნამდვილ ამ ქვეყნიურს სამოთხეს წარმოადგენს ბავშვებისათვის.

სკოლის შენობა თავისი კარებ-ფანჯარებით ჰიგიენურად და დიდაქტიკურად არის მოწყობილი; სკოლის ეზოში სდგას სკოლის მშვენიერი სამზარეულო, სადაც სუფთად მზადდება ნაირ-ნაირი საჭმელები. ამ მშვენივრად შემკობილ ბუნების წიაღში მადა გახსნილ ბავშვებს ოთხ-ოთხი იჯრა საჭმელი ჰქონიათ დღეში გაჩეხილი. რეპეტიტორი—მასწავლებლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგინი განურჩევლად ეროვნებისა მშობლიური ალერსით და მოფერებით თავს დასტრიალებს პატარა ბავშვებს. სკოლის შენობის უკან რაოდენიმე საჟენის მოშორებით ბ. ზაქარია არჯევანიძეს იჯარით აუღია ვეებერთელა ფიჭვნარი ტყე, სადაც ბავშვების სასეირნოთ და სათამაშოთ ამზადებს საბავშვო მოედანს, რომელიც თავისი დიადი მნიშვნელობით მთელი სკოლის მშვენიერებას უდრის. ჩემდა სამწუხაროდ, თვით სკოლის გამგე—ორგანიზატორი ბ. ზ. არჯევანიძე იმ დღეს შინ ვერ შევისწარი, ქუთაისში წასულიყო და არ მქონია ბედნიერება, რომ პირადათ გამეცნო იგი. ნურავინ იტყვის ვითომ ქართველებს საქმის გაკეთების შნო და უნარი არ ჰქონდეთ; ქართველები ყოველ საქმეში მარჯვე და ნიჭიერი არიან, მხოლოდ გულმხურვალე სურვილი და თანაგრძნობაა საჭირო კეთილი საქმისათვის.

წაღვერის შნო და ლაზათი დღეს ერთის მხრით ბ. ზაქარია არჯევანიძის „სკოლა ტყეში“ და მეორეს მხრით კი რკინის მადნეული სამკურნალო მეავე წყალი.

სულით და გულით ვუსურვოთ ამ სკოლას დღეგრძელობა და წარმატება.

მღ. ბესარიონ ვაშაძე.

დაგა-სოფლები

ს. წაღვერი. წელს საზოგადოდ ჩვენს პატარა აგარაკებს ხალხი ბლომად აწყდება, რაც თუ სიძვირეს იწვევს და ცოტა საზარალოა მოაგარაკეთათვის, სანაცვლოდ შეშოსავლის კარგი წყაროა ადგილობრივ მკვიდრთათვის. სახლის ქირა წელს არც თუ დაწეულია. ასეთ ადგილებს ჩვენი გლეხის ქონებრივსა თუ გონებრივ მხარეზედაც დიდი მნიშვნელობა აქვს. კერძო საკუთრების ნიადაგზე ფეხმოდგმულ და ზურგმაგარ გლეხების სახე სრულიად სცვლის ჩვენს შეხედულობას ქართველ გლეხზე. აქ ნათლად შევამჩნევთ, როგორია ქართველი მაშვრალი, როცა იგი ოდნავ მაინც გაინთავისუფლებს ზურგს ღიღურ ჭაპანწყვეტისაგან. მაგრამ ჯერ კიდევ სანამ საერთო შეძლებულობას ვეღირსებოდეთ კიდევ ბევრი კოკა წყალი ჩაიარს.

წელს საერთოდ და კერძოდ წაღვერის მოაგარაკეთა მეტ ნაწილს უცხო ელემენტები შეადგენს, განსაკუთრებით კი სომხობა. ისინი ასეთ ადგილებშიც კი მეტად კარჩაკეტილად ცხოვრობენ ამ სიტყვის ყოველმხრივი აზრით. ქართველობა ნაკლებია, მაგრამ თვისი იერი ნათლად აკრავს. საპირო კი იყო, რომ ქართველებს აქ მეტი ე. წ. კულტურული დროს გატარება შეხვედროდა, მაგრამ ჯერ არა სჩანს რა. პატარა სამკითხველოც კი უქმია და გვეუბნებიან—ჯერ სეზონი არ დაწყებულაო. უცხო ელემენტის ჭარბობით აიხსნება არა ქართულ გაზეთების მეტი ბაზარი. ქართული გაზეთები ცოტა მოდის. მაგალითად: „თან. აზრი“ 20 ცალი, „სახალხო“ 10 ც. და „საქ.“ 5. ამათში ორი პირველის ნაწილი საშუალოდ გაუყიდველი რჩება. „საქართველო“-ს რიცხვი მალე ოცამდი გადიდდება და გამყიდველსაც იმედი აქვს გასაღებისა.

სამშაბათს, 28 თიბათვეს, გოძიაშვილი თვისი გუნდით აპირობს კონცერტის გამართვას. შეიძლება ამან ცოტა აამოძრაოს საზოგადოება, თორემ მეტად უმოძრაო ატმოსფერაა.

მ. ეგრისელი.

—

დ. სურამი. თიბათვის 25-ს, ღამე, სურამის მახლობლად, რიკოთის მხარეს, ყაჩაღები თავს დაესხნენ სამ მგზავრს: რომანოზ ხაჩიძეს, ფედო გელაშვილს და ვინმე ს. ლიჩას მცხოვრებს, რომელთაც თურმე თან ჰქონებიათ 1500 მან. საკლავ საქონლის საყიდლად. ყაჩაღებს ფული წაურთმევიათ, ორი მათგანი იქვე მოუკლავთ, რომანოზ ხაჩიძისათვის მძლავრად დაუცია კისერში ხანჯალი და მძიმედ დაუჭრიათ. დაჭრილი სურამის ლაზარეთშია მოთავსებული. ყაჩაღები ჯერ-რაც ვერ შეუპყრიათ.

— ამ ჟამად სურამში მყოფ მსახ. შალვა დადიანსა და ელო ანდრონიკაშვილს განზრახვა აქვთ რამდენიმე წარმოდგენა გამართონ ადგილობრივ საზოგ. საკრებ. საზაფხ. სცენაზედ.

— სამხედრო (იუნკერთა) სასწავლებელი წინად ყოველ წლივ საზაფხულოდ სურამში მოდიოდა ხოლმე, წრეულს კი მუხრავანში წავიდა. სურამელებმა ამის შესახებ დეპუტაცია გაგზავნეს მეფის ნაცვლის წინაშე სათხოვნელად, რათა ხსენებული სასწავლებელი კვლავ სურამში მოსულიყო საზაფხულოდ. ამბობენ, შუამდგომლობა დაუკმაყოფილებიათ და ამ დღეებში სასწავლებელი სურამში მოვაო.

— დიდი ხნის გვალვის შემდეგ, 27 თიბათვეს საამური ჟუჟუნა წვიმა წამოვიდა და გადაცხმარი ყანები და სიმინდები აამბინა.

— წლეულს სურამს სააგარაკოდ დიდძალი ხალხი მოაწყდა. სააგარაკო მიწები თითქმის ყველგან გაქირავებულია. სანოვაგე ხელმისაწვდომ ფასებში იყიდება. მხოლოდ სურამის დიდი ნაკლი ის არის, რომ ელექტრ. განათება აღარ არის და უმთავრეს ქუჩაზედ ნავთის სანათურები ბჟუტავენ.

მილოზი.

—

დიდი ლიახვის ხეობა. ჭირნახული უკვე შემოვიდა, მკა და თიბვა დაიწყეს. გალეწით ჯერ არავის გაულეწნია. ფეხათ კარგი ჭინახულები სჩანს. ზოგ ადგილას გამუდმებულმა გვალვამ ჭინახულები მოასწრაფა. მუშა ხელის ნაკლულევანებამ ხალხი საგონებელში ჩააგდო, შინ დარჩენილი დედები, ცოლები და გასათხოვარი თუ მორბედი ქალები დიდ მხნეობას იჩენენ; მუშაობენ ისე როგორც მამაკაცები, თავის საქმეს მორჩებიან მერე. სხვებს ფასად ჰშველიან დღეში 50—60 კაპიკათ. მინდორში რომ გაიხედოთ ასეთი სურათი წარმოგიდგებათ თვალწინ: აგერ ორი ძმა ხაჭაპურიძეები ტატა და შაქრო. ერთს უფროსს ტატას მარჯვენა ფეხი აქვს მომტვრეული გერმანიის ფრონტზე, ფეხი დამოკლებია ოთხი გოჯით, უმცროს ძმას მარცხენა ფეხი მოსტეხია ოსმალებთან ბრძოლაში. კოჭი მთლად გამოღებული აქვს, ორივენი ორჩოფეხათი დადიან, გაბალახებულ სიმინდზე გული ეწვით. წასულან აწ განუყრელ ორჩოფეხა ჯოხებით, თოხებით ხელში და სიმინდს თოხნიან, ერთმანეთს მიჰკვრიან, რომ არ წაიქცნენ და თუ თოხზე დაბჯენა ვერ მოახერხეს, ერთმანერთს მიებჯინონ. თოხის ტარის სიგრძეზე რომ გამოსთოხნიან, მერე ასკინკილა გადინაცვლებენ და თოხნას განაგრძობენ, ასე ეწვალებიან საწყენი, ამ სიცხეში: გაიხედავ და მათ მეზობლად წელში მოხრილ პაპასთან რძალი და შვილის ქალიშვილები, თავმოჩარდახებული თოხნიან, იქით ქერსა გლეჯენ ქალები, ჯერ ნამგლის ხმარებას, ვერ შესჩვეოდნენ, სადმე კაცი ცელით სთიბავს ყანას და ქალები აბუბულებენ და ფოცხამენ. აგერ ძნის ურემზე ქალი ბულულს უდებს ძირიდგან, ორი გოგო და მწყემსი ბიჭი აწვდის. აი მოკლედ ახლანდელი მუშაობის სურათი. ახლა ამათ ნაოფლარით უნდა დარჩეს ქვეყანა და ის სახიჩრება, რომელთაც შრომა აღარ შეუძლიანთ. ჩვენმა ხეობამ გაჭირვებით კალორობას მიახწია. ახლა აღარა უშავთ რა. სანოვაგე ისევ ძვირია. ერბო 1 მ. 40 კაპ. ქათამი 1—2 მან. შეშა ურემი 7—8 მანეთი. მუშა ხელი ორ მანათს ახწევს. ხელოსანი 2—3 მანეთია დღეში. მღვდელდიაკვანი ძველ მაზანდაშია.

ჩვეულებრივ მხიარულობის და მუშაობის დროს სიმღერებს ველარ გაიგონებთ. იდუმალებაშია ყველაფერი. ხილი, ეს მთავარი წყარო აქაურ შემოსავლის, საშუალოზე ნაკლებია, ალაგ ალაგ სეტყვამ დაჰკრა. ფუთ ხილში 3 მ. 3—50 კაპ. აძლევენ. ნარდათ ბევრი გაიყიდა. ურმის ქირა გორამდის 8—15 მანეთია. ფარჩა მეტად გაძვირდა.

ამ ჟამად ეკონომიური აღწერილობა ხდება. ამის თაობაზე კომლზე კაცი დაიბარე ცხინვალში და გამოუცხადეს ხალხს, არავინ დამალოთ საქონელი და სისწორით დააწერინეთო, თორემ დაისჯებითო. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ერთი გარემოება: ამ თიბათვეში ორჯელ, ამ ცეცხლის კიდების დროს“ ხალხი მოაცდინეს ცხინვალიდგან გაიცა ბძანება, სისწრაფით შებმული ურმებით ჩამოდითო. ცხინვალში, სულ გუთნები ჩააშლევინეს და აუარებელი ურმები მიუყენეს ცხინვალს. მამასახლისმა ცერაძემ დაიბარა ნაცვლები და ზოგიერთი კარგა გაამათრახა, აქ რად მორეკეთ ურმებიო, გუბერნატორი მობრძანდება იქ თქვენ სოფლებში უნდა გზა გაგესწორებინათო, მერე მეორე მესამე დღეს კიდევ ჩააშლევინეს გუთნები და გზებზე ამუშავეს. გუბერნატორი აღარ მობრძანებულა. ღმერთმა უშველოს, ზოგი ჭირი მარგებელიაო, გზები ცოტათი შეაკეთეს. საერთოდ გზებისთვის არავინ ზრუნავს და ხანდახან, როცა ან გუბერნატორი ან ექზარხოსი დაეპირებს, მობძანებას პოლიციას მაშინ მოაგონდება ხოლმე გზები, თორე, სხვა დროს თუნდა სულაც ჩამხრჩვალან ლაფში ხალხი საქონლით, რა ენაღვლებათ. ჩემს ხსოვნაში გზებს დიდ ყურადღებას ბოქაული ელიზბარ გუგუშვილი აქცევდა, რაც ის მკვდარი კურთხევით იხსენება, ეხლა ცოცხალი ბოქაულები არ იხსენებიან იმდენჯერ. პატარა ლიახვის ხიდი გაფუჭებულია, მარტო ქვეითი გავლა შეიძლება. რამოდენიმე სამამამსახლისოს შეერთებამ ხალხი გაჭირვებაში ჩააგდო. დიდი ხნის დიდი გაჭირვებით აშენებული თამარაშნის სასოფლო სამმართველო გაუქმებულია და მალე მოუვლელობით დაინგრევა. ნეტა ვინმე მაინც ჩაავონებდეს ქვემო-აჩაბეთლებს და თამარაშენლებს ამ შენობაში რამე სკოლა ან სახელოსნო გახსნან, რათა ხალხს ნაამაგდარი არ განადგურდეს უპატრონობით. ხუთასი თუმანი ღირს ეს შენობა ადგილიანად. თამარაშნის საზოგადოების სამამასახლისოს აღდგენას თ. ვასილ მაჩაბელი დაჰპირებია გასამრჯელოს აღებით და ჯერ არაფერი გაკეთებულა. საკრედიტო ამხანაგობები ძალიან ჰშველიან ხალხს. ქურთის საკრედიტო ამხანაგობას თავის წმინდა მოგებიდგან 136 მანეთი გადაუდვია ომში გაწვეულ ოჯახებში მყოფ მოგებისთვის საფეიქრო სკოლის გახსნისათვის ს. ქურთაში.

ლიახველა.

თეატრი

ხარფუხის კლუბი.

დღეს, 2 მკათათვეს, ხარფუხის კლუბის საზაფხულო თეატრში გაიმართება **სამხიარულო, სალიტერატურო და სასიმღერო საღამო.** საღამოზედ შესვლა უფასოა.

შეცდომის გასწორება.

ს. კედიას გუშინდელი წერილი ასე იწყება: არის მთავრობის ერთი აქტი, **ამ ხსენებულ** მამულების ლიკვიდაციას რომ შეეხება.

უნდა იყოს: ...**გერმანელთა ჭიათურის** მამულების ლიკვიდაციას...

დაბეჭდილია: ჭიათურის მადანი თავის სახელმწიფო მნიშვნელობით არსებითად განირჩევა გერმანელთა **სხვა** მამულებისაგან...

უნდა იყოს: გერმანელთა იმ მამულებისაგან...

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკინიგზის მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ბორჯომის	სამგზ.	№ 17,	8.27	დილ.
„	სამგზ.	№ 19,	3.19	დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	საღ.
თელავისაკენ	№ 4,	7 „	58 „	დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
თელავიდან	№ 3,	7 „	58 „	საღ.

საგალანტერიო მაღაზია
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საძროელი:
ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

ფეიმის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასზ
საკუთარი ტყიდან
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„ფელაანი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა ბ ზიგ. მაღაზია
„განათლება“-ში
იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.
პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“,“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.
ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

თევზის მრეწველნი
ძმ. ალეგველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განაყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. ბაილოვის-შვილ“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალადა, მცირე მარილიანი, შავი „„მეშჩანი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნება დართულია სამშვიდობო ცენზურ სოგან

სტამბა „ცხოვრება“ ალექსანდრეისა, გიბაევის შესახვევი № 4.